ოთხშაბათი 1919 წ. მარტის 26 № 67
წლიწადი მეხუთე

ოთხშაბათი 1919 წ. მარტის 26 № 67
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

მეუღლე კნ. ელენე გიორგის ასული ვაჩნაძისა, ძმა კოტე მეუღლით ელენეთი და შვილებითურთ, დაი მაკა ვაჩნაძისა, ცოლის და ეკატერინე ლონჯაშვილისა შვილებით ნადეჟდათი და გიორგითი და სიძით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სოფ. კარდანახში 31 მარტს ფერისცვალების ეკლესიაში იქნება გარდახდილი წლის წირვა და პანაშვიდი ვერაგულად მოკლულ

თავად ლუარსაბ დავითის ძე

ვაჩნაძის (ჭიმიაშვილის)

სულის მოსახსენებლად 1—ფ.—1

გულ დათუთქულნი მშობლები გიორგი ბეჟანის ძე და პელაგია კონსტანტინეს ასული ტატიშვილები რძლით მარიამით და შვილებით ალექსანდრე, ბეჟან და შალვათი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ გორის საკათედრო ტაძარში 27 მარტს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წლის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელის ვერაგულად მოკლულის შვილის, მაზლის და ძმის პატიოსან მშრომელ მეურნის

შაქრონი

პანაშვიდი დაიწყება დღის 12 საათზე. 1—2243—1

იყიდება

ხეტყე. ფიცრები, რკინეულობა, ხარაჩოები და სხვა. ადრესი: ლარსის ქუჩა, № 3, 1 უბანი. 2—2250—1

ლეკურის კურსები

მსახიობ

ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლეკურის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ. 25—39—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 26 მარტს, წარმოდგენილი იქნება

ტრუბადური

მონაწილეობენ: ალეშკო, სპიტკო, მარკოვი, პოლიაევი.

27 მარტს „აბესალომ და ეთერი", 28 მარტს ენრიკო ბროჯის იუბილე „რიგოლეტო", 29 მარტს „მასკოტა", 30 მარტს დილით „ჩერევიჩკი" საღამოთი „ტრავიატა".

## ბაზრობის-ლატარია

(„საქართველოსათვის")

არჩევნები, სია, სია,
მართალია ძვირფასია,
მაგრამ მეტად კაპასია,—
საარჩევნო ომის სცენა.

ყველა ფიქრი, ყველა ძალა,
ჩვენ არჩევნებს ენაცვალა,
და არავის არ ეცალა—
ლატარია გაეხსენა.

პარტიული ომი ქრება,
დამფუძნებელი გვაქვს კრება,
მტერიც ვეღარ გვემუქრება:
მტერი—მიწის სადარია.

მინდა ყველას რომ მივმართო,
იყოს ლაღი და უდარდო,
და ახსოვდეს მარად მარტო,
დღეს ქართული ლატარია.

გვინდა სკოლა უმაღლესი,
და თეატრიც უკეთესი,
რომ აუგოთ ბნელეთს წესი,
კულტურამ არ დაიძინოს.

ვისაცა სწამს ქართვლის ბედი,
არ სურს ჰკლავდეს სიბნელეთი,
ლატარიის მან ბილეთი
დღესვე უნდა შეიძინოს.

4—38—1

რესტორანი პარიზი რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

ცალკე მოწყობილ დარბაზებით

გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

საგანგებო ყავა-ხანა

ფასები ზომიერია

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.

(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—8 პატივისცემით: ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

იყიდება შეშა

ყოველნაირ ჯიშისა და ზომისა ნიხრზე ნაკლებ მხოლოდ ძმ. ზოდელავას მიერ ახლად გახსნილ საწყობში ბორჯომის ქუჩა № 15. 6—2245—2

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43. 60—2171—13

## მდგომარეობა რუსეთში

რუსეთის ამბები კვლავ იწვევენ ქვეყნის ყურადღებას. უზარმაზარი სახელმწიფო, რაც დრო გადის, უფრო მეტის სისწრაფით მიექანება დაქვეითებისა და განადგურებისაკენ. სამოქალაქო ომი ბოლშევიკურ რუსეთში გრანდიოზულ გასაქანით სწარმოებს. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დღეს მთელს რუსეთში მართვა-გამგებლობის ჩანასახიც არ არის: ცალკე კუთხეები, ყოველი ქალაქი და დაბა საკუთრად „განაგებს" თავის „სამფლობელოს" და არავის აძლევს ანგარიშს მოქმედებაში.

რუსეთი დაყოფილია ურიცხვ სამხედრო ასპარეზად და გზადაბნეული დემოკრატია დაუზოგველად ეკვეთება ერთი მეორეს. გაზეთების არევდარეული და მოკლე ცნობებითაც ნათლადა სჩანს, რომ რუსეთის ხალხი დამშვიდებას ახლო მომავალში ვერ მიაღწევს და ანარქიაში ჩაფლული „სოვდეპია" განკურნებას ვერ ეღირსება.

ერთი გარემოება კი ყურადსაღებია: ბოლშევიზმმა მკვიდრად ჩაიდგა ფესვი რუსეთში და, გარდა ზოგიერთ განცალკევებულ ადგილებისა, მისი ჰეგემონია დღეს დამტკიცებული ფაქტია. თუმცა ბოლშევიკურ რუსეთში საგანგებოდ გამგზავრებული პირნი გვაუწყებენ, რომ „სოვდეპიაში" თვით დემოკრატიული ნაწილი საზოგადოებისა აშკარად ეწინააღმდეგება ბოლშევიკურ მთავრობას, მაგრამ დაუმალავია ის მოვლენაც, რომ ვერავითარი სხვა ძალა რუსეთში ვერ მყარდება და ბოლშევიზმისაგან განდგომილი რუსის ხალხი არავითარ მთავრობას აღარ იწყნარებს.

სამწუხაროთ, რუსეთში დღეს არ მოიძებნება არც ერთი პოლიტიკური მიმართულება, რომ შეეძლოს სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება, თუნდაც ძლევამოსილ მოკავშირეთა დახმარებით. ბოლშევიზმის დამხობა ყველას დაუსახავს მიზნად, მაგრამ მისი შემცვლელისა და მოადგილის გამონახვა არც თუ ისე ადვილია. მართალია, ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ეგრედ წოდებულ „მოხალისე არმიაზე" და ბოლშევიკების მოწინააღმდეგეთა შორის ზოგიერთნი სასოებით ადევნებენ თვალყურს ამ რაზმის „ოპერატიულ" მოქმედებას, მაგრამ არც ის არის დაუფარავი, რომ მოხალისეთა რაზმი მთელი თავისი შინაარსით ისეთ ელემენტებისაგან შესდგება, რომ მისი თუნდაც დროებითი გაბატონება უარეს ყოფაში ჩააყენებს რუსეთს. საკმარისია აღნიშვნა მხოლოდ იმ გარემოებისა, რომ მოხალისეთა არმიის შედგენილობის დიდი უმრავლესობა აშკარა შავრაზმელებისაგან არის წარმოდგენილი და თვითმპყრობელობისა და „დიდი რუსეთის" რესტავრაცია მისი სანატრელი ოცნებაა...

მოკავშირე სახელმწიფონი ჯერ ხნობით მოხალისე არმიას ეყრდნობიან ბოლშევიზმთან საბრძოლველად. ამ ჯარს ეძლევა უხვად ფულიცა და ტეხნიკური საშუალებანიც საომარ მოქმედებისათვის, მაგრამ ეგზომ ხნის განმავლობაში ამ არმიამ ოდნავაც ვერ შეარყია ბოლშევიკების სამფლობელო. პირიქით, მოხალისე არმია ვერც კი უმაგრდება ბოლშევიკურ „წითელ არმიას" და მის მიერ მუდამ ძლეული იყო აქამდის მაინც. მოხალისე არმიის მოქმედებას სხვა ტენდენცია ემჩნევა: ამ ერთეულში თავმოყრილი ხალხი რუსეთში ნორმალურ წყობილების აღდგენაზე იმდენად არ ჰფიქრობს, რამდენადაც გატაცებულია დაშლილ და დანაწილებულ სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოებით. შავი ზღვის სანაპიროზე შემოტევით მოხალისე არმიამ ცხად ჰყო თვისი ნამდვილი ზრახვა და საქართველოს საზღვრების გადმოლახვით პირველათ „ისახელა" თავი!

ასეთი ორგანიზაცია რუსეთს ვერ ააღდგენს.

ჩვენის ღრმა რწმენით, მოკავშირე სახელმწიფონიც ვერ შესძლებენ მოხალისე არმიის მეოხებით რუსეთის დაწყნარებას.

მოხალისე არმიისადმი რუსეთის ზომიერ წრეების ერთგვარი სიმპატია ადვილი გასაგებია: ბოლშევიკების მოწინააღმდეგენი, თავის თავად ცხადია, თანაგრძნობით შეხვდებიან ყოველგვარ პოლიტიკურ-მილიტარულ ძალის შექმნას, რომელიც შეებრძოლება ბოლშევიკურ წესწყობილებას და სახელმწიფოებრიობის დამყარებას ხელს შეუწყობს. განვლილ დრომ გვიჩვენა, რომ ამ მიზნისთვის ყუბანში შეკრებილი ჯარი სრულებით არ ვარგა: ბოლშევიზმს მოხალისე არმია ვერ მოჰხრის და ეს ამ ჯარის ხელმძღვანელებსაც კარგად ესმით რომ სერიოზულ ოპერაციას მის წინააღმდეგ სისტემატიურათ გაურბიან.

ბოლშევიკურ მოძრაობამ რუსეთში თითქმის ნაციონალური სახე მიიღო. რუსეთის ინტელლექტუალურსა და სოციალურ ბუნებას დიდათ შეეგუა ნგრევისა და უთავბოლობის მოძღვრება. წელიწად ნახევარი რუსეთში ბოლშევიკები განუსაზღვრელად ბატონობენ და „რბილ-ტანიანმა სლავიანველიკოროსებმა" ისევე ადვილად შეითვისეს კომმუნისტური იდეები, როგორც ახლო წარსულში მენშევიკური სოციალიზმი და კიდევ წინად რელიგიური ექსტაზი...

„ჩრდილოეთის სფინქსი" გამოუცნობი დარჩა! იქნებ, რუსის ხალხის „ღვთივმოსაობამ" ახალი გამოსახულება ჰპოვა და ბოლშევიზმი უკანასკნელი განწმენდაა საბოლოო მყუდროებისათვის!?

რუსეთის დასახსნელად სხვადასხვა ზომებს მიჰმართავდნენ შინ და გარედ. მოკავშირენიც ცდილობდნენ დაცემული სახელმწიფოს აღდგენას, მაგრამ რუსეთი მაინც შეუჩერებლივ მიექანება დაღუპვისაკენ...

ამბობენ, მოკავშირე სახელმწიფონი უბრუნდებიან წინად დასახულ აზრს, რომ რუსეთში დიდ-ძალი ჯარით შეიჭრნენ ბოლშევიზმის დასამხობად. სჩანს, ინგლის-საფრანგეთში უგვრძნიათ მოხალისე არმიის ღირებულება და დარწმუნებულან, რომ თვით რუსეთში არავინ ამხედრდება ლენინ-ტროცკის მთავრობის წინააღმდეგ.

ძნელი საქმე უთავიათ მოკავშირეებს: ბოლშევიზმი თითქმის ყველა დამარცხებულ სახელმწიფოებს მოედო და რუსეთში მიმავალ მოკავშირეთა ჯარს, საფიქრებელია, ბრძოლა მოუხდება ჯერ გერმანია-ავსტრიის ტერიტორიაზე.

ბოლშევიზმი რუსეთში ბუნებრივად უნდა აღმოიფხვრას გარეშე ძალის შემოჭრა ზედმეტ ნგრევას გამოიწვევს, არსებითად კი რუსეთი ისევ ბოლშევიკური დარჩება.

 რ. ინგილო.

## დამფუძნებელი კრება

(დასასრული)

**რ. არსენიძე (ს.-დ.)**

მოქალაქენო დღეს აქ ჩვენ გვირჩევენ, რომ დღესვე შეუდგეთ სოციალისტურ ექსპერიმენტებს. ჩვენ ამას ვერ ვიზამთ, დღეს ამის დრო არ არის. აქვე გვირჩევენ ჩვენი პოლიტიკის გზის შეცვლას, ამას კი ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული მდგომარეობა არ მოითხოვს. ის ფაქტი, რომ ყველამ თითქმის ს. დ. მისცა ხმა, ამტკიცებს იმას რომ მათი წინამძღოლობა მხოლოდ სოციალისტურ მთავრობას შეუძლია და არა იმას რომ დღეს სოციალიზმისათვის მზად ვიყოთ.

ჩვენი მთავრობის პოლიტიკამ მოგვიყვანა ჩვენ აქამომდე. ქართველი ხალხი არ იჩაგრება მოზღვავებული კაპიტალისა და წარმოებისაგან არამედ მათ სისუსტისაგან. საკვირველია როცა აქ მოითხოვენ ყველაფრის განსაზოგადოებას. თუ გერმანიაში ხდება დღეს წარმოების განსაზოგადოება ეს სხვაა საქართველოში კი არ არსებობს თვით ის რის განსაზოგადოებასაც გვირჩევენ. ჩვენ არ გვიშველის კერძო ინიციატივის მოსპობა. წინააღმდეგ, პირიქით ის ჩვენ დაგვღუპავს.

გვიკიჟინებენ, თქვენი საგარეო პოლიტიკამ საქართველო დაღუპაო. მე კი ვიტყვი, რომ ჩვენ ყველა ფრონტებზე გავიმარჯვეთ, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად. თუ ჩვენ მეზობელ სახელმწიფონი ვერ გვეგუებიან და თავს გვესხმიან. ეს მისი ბრალია, რომ მხოლოდ საქართველომ შეინარჩუნა რევოლიუციის მონაპოვარნი.

ასეთი გახლავთ იმ მთავრობის მოქმედება, რომელიც დღემდე იყო და დღესაც აირჩიეს.

შემდეგ სამანდატო კომისიის წევრი გ. ურატაძე კითხულობს სამანდატო კომისიის ოქმს დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ.

არჩევნების უწესრიგობასა და ძალადობას აღნიშნავენ ე.-დ. ალ. ასათიანი ს.-ფ. ბარათაშვილი, და მოითხოვენ იმ ადგილებში სადაც უკანონობა იყო ჩადენილი არჩევნები ხელახლა მოხდეს.

სოც.-დემ. ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ე.-დ., ს.-ფ. და ს.-რ. არჩევნები კანონიერად იქმნა ცნობილი.

სხდომა თავდება ნაშუადღევის ორნახ. საათზე.

მთავრობის დეკლარაციის შესახებ კამათის დასრულებას შემდეგ, კრება ისმენს სამანდატო კომისიის მოხსენებას კომისიის თავმჯდომარე.

**გრ. ურატაძე** (სოც.-დემ.), კომისიის აზრს შესახებ დამფუძნებელი კრების არჩევნებისა. კომისიას განუხილავს პარლამენტის ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ოქმები და ყველა დაუდასტურებია. კომისიას საჭიროდ დაუნახავს ზოგიერთი დეკრეტისა და კანონის დარღვევის აღნიშვნა.

**ი. ბარათაშვილი** (სოც.-ფედ.) ეხება ზოგიერთი კუთხის არჩევნებს (ზემო რაჭა, კახეთის რამოდენიმე სოფელი) სადაც ადგილი ჰქონდა საარჩევნო კანონის აშკარად დარღვევას. ზემო რაჭაში არჩევნები მოუხდენიათ კანონით დანიშნულ ვადის შემდგომ, თელავის მაზრის სოფ. გულგულაში არჩევნების შემდგომ ყუთი არ გაუხსნიათ და არ დაუთვლიათ ხმები, არამედ ისე გაუგზავნიათ სამაზრო კომისიაში. ორატორი მოითხოვს ამ არჩევნების დარღვევას.

**ალ. ასათიანი.** (ეროვნ.-დ.) აღნიშნავს, რომ სამანდატო კომისიის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ მას ან უნდა დაემტკიცებინა ყველა არჩევნები ან და დაერღვია არჩევნების დიდი ნაწილი, ვინაიდან კანონის დარღვევას და გადახვევას დამფუძნებელი კრების არჩევნებში საერთო და საყოველთაო ხასიათი ჰქონდა.

საარჩევნო კანონი, ეროვნული საბჭოს მიერ გამოცემული, როგორც მოგეხსენებათ, პარლამენტმა შეცვალა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინადადებით. ყველა ვადები შესახებ სიების გამოქვეყნებისა, მათი შეცვლისა, შესწორებისა და სხ., შესახებ საარჩევნო ბარათების დაგზავნისა და დარიგებისა, სანახევროდ შემოკლებული იყო. დამფუძნებელი კრების არჩევნების დაჩქარებას სოციალ-დემოკრატები იმით ასაბუთებდენ, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ამას მოითხოვსო. რასაკვირველია, დამფუძნებელი კრება რომ ორიოდე კვირით უფრო გვიან შეკრებილიყო, დიდი უბედურება არ იქნებოდა. ამ ვადის შემოკლებას კი, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი შედეგები მოყვა. არ მოესწრო სიების შედგენა, ქალაქებს გარდა არსად სიები არ გამოქვეყნებულა და, რასაკვირველია, არ შესწორებულა, კომისიები ნაჩქარევად შედგა, საარჩევნო ბარათები გვიან მიდიოდა ადგილებზე და სხ.

102

# უკანასკნელი ცნობები

გალიციაში რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება. ლვოვში მუშათა დეპ. საბჭო დაარსდა. აჯანყებულები სტანისლავოვში შევიდნენ.

ავსტრიის ყოფილ იმპერატორს კარლოსს შვეიცარიაში ცხოვრების ნება მიეცა.

აღმოსავლეთ ციმბირში სერიოზული აჯანყებაა. მეამბოხეებს იაპონიის ჯარი ებრძვის.

პეტლიურას დამარცხების გამო დირექტორიის წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო.

პოლონეთის საბჭოს თავმჯდომარე პადარევსკი გადადგა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან.

თვით დამფუძნებელი კრების საარჩევნო კანონს დიდი ნაკლი ჰქონდა. ეს არ უნდა დავივიწყოთ, როდესაც მომავალი პარლამენტისათვის საარჩევნო კანონის შემუშავებას დავიწყებთ. აღვნიშნავ მხოლოდ ტეხნიკურ ნაკლს, ისიც ერთს. კანონი მოითხოვს, რომ ყველა საარჩევნო კომისიები შემდგარიყო ადგილობრივ „პარტიულ ძალთა განწყობილების მიხედვით“. თვით პრინციპი ასეთი მიუღებელია. შეუძლებელია სასამართლოს, ადმინისტრაციის, ან მმართველობის სხვა რაიმე გამგებლობა „პარტიულ ძალთა განწყობილების მიხედვით“ დგებოდეს. ასეთი წესით შემდგარი მართველობა არასოდეს არ იქნება კანონის ნამდვილი დამცველი და მისი მორჩილი. „პარტიულ ძალთა განწყობილებას“, რასაკვირველია, მმართველი პარტია არკვევდა და ამის გამო ზოგიერთს მაზრაში კომისიის წევრებად სრულებითაც არ ინიშნებოდა ჩვენი პარტიის წევრები.

ეს თვით კომისიის ოფიციალური შემადგენლობა. მაგრამ ამას გარდა პარტიებს უფლება ენიჭებათ თავისი თითო წარმომადგენელნი ყოლოდათ საარჩევნო კომისიებში. მრავალს ადგილას ასეთს წარმომადგენელსაც არ ღებულობდენ, თუმცა კანონში ეს უფლება აშკარად არის აღნიშნული. ამბობენ ჩვენ ამის შესახებ არავითარი ინსტრუქცია არ მიგვიღიაო.

ასე ცალმხრივი შემადგენლობის კომისიები აწყობდენ მთელს საქართველოში არჩევნებს. ასეთი კომისიების ოქმები არის ის მასალა, რომლის მიხედვით ამტკიცებდა არჩევნებს ცენტრალური და შემდგომ დამფუძნებელი კრების კომისია. კომისიების ოქმებში ვერსად ვერ დაინახავთ, რომ კომისიაში რაიმე აზრია სხვა და სხვაობა ყოფილიყოს, ან პროტესტები, ეს იმით აიხსნება, რომ კომისიის შემადგენლობა თითქმის სავსებით ერთი პარტიის იყო და ეს კომისიები უმრავლესობის დადგენილებას სწერდა ოქმში და თითო ოროლა წევრის აზრის აღნიშვნას სრულიად საჭიროდ არ სთვლიდა.

ასე შეუფერებელი საარჩევნო კანონი საყოველთაოდ ირღვევოდა ამის პირველი მაგალითი თვით პარლამენტის საარჩევნო ცენტრალურმა კომისიამ მისცა. კანონი აშკარად ამბობს: „საარჩევნო ბარათები (ბიულეტენები) ერთნაირი უნდა იყოსო“. თქვენ მოგვეხსენებათ თუ რამდენად ერთნაირი იყო. სხვა და სხვა პარტიების ბიულეტენები ან ფერით, ან ქაღალდის ზომით, თუ სისქით, ან ნაბეჭდის ფერით. რასაკვირველია, მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ყველა პარტიები ერთნაირი ყოფილიყო. შემდგომ კომისიამ დააკანონა „მოძრავითურთ“. ამის შედეგი მოგეხსენებათ როგორი იყო. ყველგან ყუთს „აამოძრავებდენ“, ე. ი. სოფელ-სოფელ ჩამოატარებდენ სახლებში და იქ მიაცემინებდენ ხმას. რასაკვირველია ასეთს პირობებში არ შეიძლებოდა ხმის მიცემის საიდუმლოების დაცვა და ყოველივე ეს მხოლოდ მშრომელი პარტიის სასარგებლო იყო.

საარჩევნო ბარათები თავის დროზე არ მიდიოდა ადგილზე. ზოგს მაზრაში პარტიებს არჩევნების ერთი თუ ორი დღის წინეთ გადასცეს ბიულეტენები. რასაკვირელია შეუძლებელი იქნებოდა მათი წესიერად დარიგება, როცა პარტია არ კისრულობდა ბიულეტენების დარიგებას, თვით კომისიებს უნდა დაერიგებინათ ეს ბიულეტენები. რასაკვირველია კანონის ეს მოთხოვნილება არსად არ შესრულებულა. ყუთები წესიერად არ კეთდებოდა, არ იბეჭდებოდა და ილუქებოდა, კანონიერად არ ხსნიდენ მას და არ ითვლიდენ. ხშირად კონვერტებს დაუთვლელად წაიღებდენ მეორე სოფელში და სხ. მრავალი იყო შემთხვევა, რომ ხმას აძლევდენ ისეთებს, ვინც სიაში შეტანილი არ იყო. კონვერტები ხშირად ხმის მიმცემლებზე მეტი აღმოჩენილა. ამ მოვლენებს შემთხვევითი ხასიათი არ ჰქონია, არამედ თითქმის საყოველთაო იყო. აქა-იქ ასეთი მოვლენა აღბეჭდილა კომისიების ოქმებში, მაგრამ ყველა ასეთი არჩევნები დამტკიცებულია ცენტრალურ კომისიის მიერ. იყო ისეთი ბედნიერი სოფელი გულგულა, კახეთში, სადაც 429 პირს ჰქონდა ხმა და ყველა ისინი არამც თუ პირველი ნომრის მიმდევარნი აღმოჩნდენ, არამედ ყველა ჯანსაღი და ჯანმრთელი აღმოჩნდა და ხმა მისცა. ეს ყუთი არც კი გაუხსნიათ, ისე გაუგზავნიათ ყუთი სამაზრო ქალაქში—სოფელმა დაადგინა პირველი ნომრისთვის ხმის მიცემა და ყველამ მას მისცა ხმაო. და ასეთი არჩევნები დაამტკიცა სამაზრო და ცენტრალურმა კომისიამ. სადაც პარტიების სასტიკი ბრძოლა იყო, იქ ყუთთან ამომრჩეველთა 30—50 პროც. ძლივს მოდიოდა და ასეთს მოვლენას, რომ თითქოს ყველა ამომრჩეველმა ხმა მისცა და ამავე დროს კანონი დაირღვა ყუთის გაუხსნელად და დაუთვლელად გადატანით, მაინც არ გასჭრა და იჭვი არ აღძრა ერთფეროვნად მოწყობილ კომისიებში.

ჩვენ აქ აღვნიშნეთ კანონის ისეთი დარღვევანი, რომელსაც თითქმის ყოველგან ჰქონდა ადგილი. საერთოდ კი, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ საარჩევნო კანონში არ დარჩენილა არც ერთი მუხლი, რომელიც მრავალ შემთხვევაში არ დარღვეულიყოს.

წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა, ისეთი ორგანოსი, რომელიც ხალხის დიდი უმრავლესობის სულისკვეთებას და ინტერესებს გამოსახავს, მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ საარჩევნო მუშაობის დროს კანონი სავალდებულოდ იქნება მიჩნეული და ერთნაირი უფლებით იქნებიან აღჭურვილი საარჩევნო მუშაობის დროს ყველა პარტიები და ჯგუფები, რომელნიც არჩევნებში მონაწილეობას ღებულობენ. თორემ თუ კანონს არავითარი ანგარიში არ გაუწია და არჩევნები მოეწყო „პარტიულ ძალთა განწყობილებაში“ სისტემით, მმართველი პარტია ყოველთვის მოახერხებს ისეთი შედეგების მიღებას, როგორიც მას ესურვება.

ეროვნულ დემოკრატიულმა ფრაქციამ საჭიროდ დაინახა ამ მოვლენების აღნიშვნა, მაგრამ არა იმისთვის, რომ მით დამფუძნებელი კრების სუვერენობა უარყოს და ის არ სცნოს, არამედ იმისთვის, რომ ეს მძიმე შეცდომები არ იქნეს დავიწყებული დამფუძნებელი კრების მიერ მაშინ, როდესაც ის საარჩევნო კანონის შემუშავებას შეუდგება მომავალი პარლამენტისათვის.

თავმჯდომარე კენჭს უყრის სამანდატო კომისიის მოხსენებას და კრება მას ამტკიცებს.

## შაქირ-ფაშა

გუშინ ჩვენს გაზეთში ცნობა იყო რომ ოსმალეთის ახალ კაბინეტში საზღვაო მინისტრის პორტფელი მარადიდელ ქართველ მაჰმადიანს შაქირ-ფაშას უჭირავსო. საჭიროდ მიგვაჩნია შაქირ-ფაშას შესახებ შემდეგი მოვიგონოთ.

1911 წელს თითო-ოროლა აქედან ჩასული ქართველი ინტელიგენტი ცდილობდა ოსმალეთში ჩვენს ძმებში, ქართველ მაჰმადიანებში ეროვნულ შეგნების შეტანას, და მათთვის წარსულის მოგონებას. ამ მიზნით გახშირდა მოგზაურობა ქართველებით დასავლეთ ოსმალეთის პროვინციებში. თვით სტამბოლში მუშაობამ მიიღო რეგულიარული ხასიათი და ქართული წიგნისა და წერის საქმეს ოსმალეთის ქართველთა შორის თვისი ბუნებრივი გზა მიეცემოდა, რომ ბალკანეთის ომს არ აერ-დაერია ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა.

1911 წელს სტამბოლში დაარსდა პირველი ოფიციალური საზოგადოება „ქართველთა დამხმარე საზოგადოება“, ჩვენი წერა კითხვის საზოგადოების მსგავსი“.

ამ საზოგადოების დაარსებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ-ნი დ. ჩიქოვანი, საქ. პარლამენტის ყოფილი წევრი, დიდი და მხურვალე მონაწილეობა მიიღო შაქირ-ფაშამ, დღევანდელმა საზღვაო მინისტრმა.

## მთავრობის წრეებში

**მინისტრთა ამხანაგები ახალ კაბინეთში.**

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის მოვალეობის დროებით აღმასრულებელის ე. გეგეჭკორის ბრძანებით მინისტრთა ამხანაგებათ დაინიშნენ შემდეგი პირები:

ექიმი ნიკოლოზ (პარმენ) გაბრიელის ძე ჰიჰინაძე—შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ.

პეტრე პავლეს ძე გელეიშვილი — მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგათ.

გიორგი პავლეს ძე ერაძე—შრომის მინისტრის ამხანაგათ.

კონსტანტინე ბეჟანის ძე საბახტარაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე გედევანიშვილი — სამხედრო მინისტრის ამხანათ.

—

გზათა მინისტრის ამხანაგი ინჟენერი მალანია სამსახურიდგან გადადგა.

**საქართველოს სახელმწიფო სმეტა.**

საქართველოს სახელმწიფო სმეტა, რომელიც, პარლამენტის დადგენილებით უნდა შეედგინათ არა უგვიანეს 1-ლ აპრილისა, როგორც ირკვევა, დამფუძნებელ კრებისათვის წარდგენილ იქნება დაგვიანებით, რადგან ყველას ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ თავიანთი ხარჯთ-აღრიცხვანი.

## ქრონიკა

◆ **მიწად-მოქმედების სამინისტროში.** მიწად-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებამ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის დადგენილება ჯერჯერობით ძალაში რჩება. ისე რომ ყოველგვარი ხელშეკრულებანი ქალაქ-გარეშე მიწებზე აკრძალულია.

◆ **ქონების ჩაბარება ერობათაგან.** თანახმად მიღებულ ცნობებისა სამაზრო ერობები საქართველოს რესპუბლიკაში უკვე იბარებენ საქმეებსა და ქონებას ყოფილ სამხედრო ბევრის საკრებულოებისა, რომელნიც უკვე გაუქმებულ არიან.

◆ **სატელეგრაფო მოძრაობა.** გენერალ კვინიტაძე დეპეშით სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ დაუყოვნებლივ გასცეს ბრძანება ახალციხე-აბასთუმანს შუა სატელეგრაფო მოძრაობის მოწყობის შესახებ.

◆ **ქალაქის მოსამსახურეთა კრება.** გუშინ საღამოს 6 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა კრება იმ მოსამსახურეთა, რომლებმაც გაფიცვას მხარი არ დაუჭირეს. დამფუძნებელ კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დ. თოფურიძემ მოხსენება გააკეთა ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ. შემდეგ გაირჩა კითხვები, რომელნიც დაკავშირებულია გაფიცვასთან და მოსამსახურეთა მატრიალურ მდგომარეობასთან.

◆ **სახელმწიფო მოსამსახ. კრება.** ორშაბათს 24 მარტს დამთავრდა სახელმწიფო მოსამსახურეთა წარმომადგენლების კრება. აირჩიეს დელეგაცია 5 კაცისაგან, რომელიც უნდა წარუდგეს მთავრობის თავმჯდომარეს თხოვნით—მოუმატონ მოსამსახურეებს 50 პროცენტი და აგრეთვე გაუთანასწორონ ჯამაგირები ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთ.

◆ **თავდასხმა.** 24 მარტს საღამოს 7 საათზე ინჟ. კორინთელის ბინაზე (ანასტასიევის ქუჩა № 19) შეიჭრნენ 3 შეიარაღებული პირნი და წაართვეს 9,000 მან. სახაზინო ფული, 1500 მან. საკუთარი მოწმობა 3,000 მ. და სხვა და სხვა ნივთები.

— 24 მარტს ღამით ნ. ქიქოძის ბინაზე (ევგენიევის შესახვევი № 7) რამოდენიმე ბოროტგამზრახველნი შეიჭრნენ და 3800 მან. ფულად და 12,500 მან. ღირებული სხ. და სხ. ნივთები გაიტაცეს.

— 24 მარტს სირუმოვის ბინიდან (მიხაილოვის ქუჩ. № 40) ბოროტგამზრახველებმა 10,000 მან. ფულად და სხ. და სხ. ნივთები გაიტაცეს.

◆ **ლტოლვილები მე-800 ვერ**სზე. საქართველოს რესპუბლიკის გ სამინისტრო შინაგან საქმეთა ნისტროს ატყობინებს, რომ მე-ვერსზე ორთაჭალის ბარაკ ლტოლვილნი სომხები ამტვრევენ რაკებს, რითაც დიდ ზარალს ა ბენ სახელმწიფოს, გზათა სამინის სთხოვს შინაგან საქმეთა მინის მოახდინოს განკარგულება, დაი ნონ ადგილობრივი დამცველები.

◆ **სომხეთის სასურსათო მდ მარეობა.** ერევნიდან ჩამოსულთა ტყვით იქ აუტანელი სიძვირე მძ ვარებს პური გირვანქა 8—9 მან. სოზს, შაქარი არ არის და თუ ი ვება 100 მან. ფასობს გირვანქა.

◆ **ტიგრან ლეოიანის გასამ თლება.** ტიგრან ლეოიანის საქმე, მელსაც ბრალდება საქართველოს სპუბლიკისადმი ღალატი, საოლქო სამართლოში აპრილის პირველ ცხვებში გაირჩევა.

◆ **იუსტიციის მინისტრის გა თხოვება.** ორშაბათს იუსტიციის ფილი მინისტრი შ. მესხიშვილი გა ეთხოვა სამინისტროსა და სასამა ლო უწყების მოსამსახურეთ. უკა სვნელთ განზრახული აქვთ მინის კვირისათვის გამოსათხოვარი სადი გაუმართონ.

◆ **კულტურისა და შრომის კ შირში.** კულტურისა და შრომის კ შირს განზრახული აქვს ამ მოკ ხანში ქუთაისში შტემპელების ქა ნის განყოფილება გახსნას.

◆ **ეროვნული დროშები.** პირ ლი პარტია ეროვნულ დროშებ უკვე გაიყიდა. შეუდგენ მეორე პა ტიის დამზადებას. ამავე კავშირს მელმაც გააკეთა პირველი სამხედ დროშა, რომელიც 12 მარტის პარ ზე ჯარს გადასცეს. სამხედრო ს ნისტრომ ყველა სამხედრო ნაწი ბისათვის დროშები შეუკვეთა.

◆ **ამიერ-კავკ. საექიმო ფაკუ ტეტის ქართველ სტუდენტთა კრე** ხუთშაბათს, 27 მარტს, საღამოს ნახევარ ს. შესდგება ქართველ საე მო ფაკულტეტის სტუდენტთა კრე გასარჩევია საყურადღებო საკითხ

## სამხატვრო ქრონიკა.

◆ **ენრიკო ბროჯის იუბილე.** რასკევს 28 მარტს, სახელმწიფო ატრში გადახდილ იქნება ენრი ბროჯის 35 წლ. სასცენო საოპე პედაგოგიურ მოღვაწეობის იუბი წარმოადგენენ ვერდის ოპერას „რ გოლეტტოს“. ენრიკო ბროჯი ც ბილია როგორც სიმღერის საუკე სო პროფესორი. მასთან მრავა ქართველი მომღერალი გაიწვრთ თბილისის საზოგადოება საკმაოდ ნობს მას და მოხიბლულა მისი ვო

# ალუჩა

„კაცი კაცის ხათრისთვის შემწვარ ხოხობს შესჭამს“.

X.

ალუჩობის დრო იყო, ისევ მწვანე ხილეულობის ჟამი, წაკულაკობა. ყველაზედ ძალიან ეს დრო მომწონს; ახალი გაზაფხული კი არა, გაზაფხულის მეორე ხანი, თითქოს დამლევი.

— რითი სჯობია ის დრო ახალ გაზაფხულს, ან ზაფხულს, თუნდ შემოდგომის დამდეგს?

— არაფრით, სრულებით არაფრით! მაინც უფრო მომწონს: ისეთს დროს მაგონებს ის ჩემის ცხოვრებისას, რომელს ხშირად ვუბრუნდები გონების თვალით და გაკვირვებით შევყურებ, თითქო რამ ძნელ ამოცანას, ჩემგან ჯერაც კარგად ვერ ამოცნობილს.

— რას უფრო შეჰყურებ, მილეულ გაზაფხულს თუ ალუჩას?

— გაზაფხულის საღამოს.... არა, ალუჩას..... ეჰ, არა! საღამოს გაზაფხულისას, ჩემს მზეს ამომავალს და ალუჩას; სამივეს ერთად.

— რას ამბობ, კაცო? სად ალუჩა, სად გაზაფხულის საღამო, სად ამომავალი მზე?! ხუმრობ თუ!

— რა მახუმრებს?!... ერთად ვხედავ მეთქი ტყემლის ალუჩას, დაპურებულ გაზაფხულს, ჩემს ამომავალ მზეს.

— ტყემალს თუ ალუჩას?

— ტყემლის ალუჩას! არ ვიცი?! ერთი ნამდვილი ალუჩაა; მჟავეა, ძალიან კი არა. მეორე ტყემლისაა: სახე სწორედ ალუჩისა აქვს, ხან იმაზედ სხვილიც არის; გემოთი თუ სიმჟავით კი ნამდვილი ტყემალია. ამაზედ ვამბობ. ის ორ დაუვიწყარ დროს მაგონებს მე, განცდის რამ წამებსს განსაცდელის წუთს.

— გიყვარს ალუჩა?

— არ ვიცი! გეტყვი ყველაფერ, და შენ თითონ მითხარი, მიყვარს თუ არა ტყემლის ალუჩა. მერმე რა მსხვილი იყო; ხომანდულის ტოლა. ჩემზედ წინად ეხლაც მაინც ვერვინ იყო დის ახლად შემოსულს.

— მაშ გყვარებია!

— რომ მიყვარდეს, კიდეც ვჭამდი. არასდროს პირში არ გავიკარებ!

— მაშ რაღად ყიდულობ?!

— დამაცა, კაცო! ჯერ მათქმევინე, მერმე მითხარი.

XX

ყმაწვილი ვიყავი შეღერებული, ესე თერთმეტ-თორმეტი წლისა. ფეხმარდი, მარჯვე. ციყვივით ავირბენდი ხეხილზედ. ჩვენ ბაღში მარტო ქოჩორა კაკალი მეურჩებოდა: ტოტები არა ჰქონდა, დაესხიპნათ, ლიტაოდ აეზარდნათ და ფეხს ვერ ვიკიდებდი; მკლავებსაც ვერ ვაწვდენდი, სხვილ ღეროიანი იყო.

მითქვამს შენთვის: ჩვენი ბაღის გვერდზედ ძიაანთ ვენახი იყო გადასალაჯებელ რამ ღობით გადაყოფილი ბაღებს გარშამო მაღალი ღობე ევლო მაგარი, შიგნით კი მაგდენად საშიში არ იყო: მეგობრულ-მეზობლურადა ვცხოვრობდით ორივე მეკომური და ერთმანეთის სარჩოს მაინცა და მაინც მტრულად არ ვეტანებოდით. ბალღებიც შურით არ ვუყურებდით მეზობლის ვენახს: სავსე ოჯახი გვქონდა, დახაცივებულნი არ ვიყავით. ესეც არ იყოს, რაც იმათ ედგათ ბაღში, ჩვენც გვედგა ის, და თვალი არაფერზედ გვრჩებოდა.

მაგრამ არა! იყო ხოლმე წლის განმავლობაში ისეთი დრო, როცა ბალღებს თვალი იქითა გვრჩებოდა ძიაანთ ვენახისაკენ, და ვმადლობდით ბედს, რომ ისეთი დაბალი ღობე ჰყოფდა ჩვენს ბაღს იმათ ბაღიდან. ეს იყო ალუჩობის დრო: მარტო იმათ ედგათ ეს ხილი, მთელი ორი ძირი ალუჩა. მერმე რა ტყემლის ალუჩა! ნამყენ ქლიავისავით სხვილი, გაზაფხულის ფოთოლივით მწვანე, ხასხასი. როგორ ესხა! ფოთოლზედ მეტი...

ცოტა საშიში კი იყო გადაპარვა, ხეხილთან მიახლოვება: ძია დემეტრე ფხიზელ დარაჯად ედგა ვენახს იფნის სახრით მუდამ ილლიაში. რა მარჯვედ ხმარობდა მოქნილ იფანს დალოცვილი! ქათამს რომ წამოუსვამდა, წამზედ თავს გააგდებინებდა. მაინც ამ სახით დაჰკლავდა ხოლმე მფრინველს. არც დევნა იყო მისთვის საჭირო: რახან ყოველთვის ილლიაში ეჭირა სახრე, მფრინველს აღარ ეშინოდა ჯოხისა: გულუბრყვილოებს მისი სხეულის ნაწილი ეგონათ იგი.

ჰო და რომ ვუყურებდით ბიჭები დემეტრიანთ ალუჩას, კბილები გვიკაწკაწებდა, სულ ელეტმელეტი მოგვდიოდა; ძლივს ვიმაგრებდით თავს აკი მაინც დავკარგეთ მოთმინება და მახეში გავყავით თავი. სულ სოლიკოს ბრალი კი იყო ეს, დაუდერაგისა.

— აბა, ბიჭო, გადავიპაროთ შენ ძიაანთ ვენახში!

— ძია დემეტრე?

— ერიჰაა! ის დილა ადრიან გაღმა წავიდა, სოფელ დამწვარაში. მე ჩემი თვალითა ვნახე, ბოგირზედ რომ გადიოდა ცხენდაცხენ.

— დედაკაცები?

— რას გვიზამენ დედაკაცები, თუნდაც დაგვინახონ. გავექცევით.

წავედით. გადვიპარენით. ტყემლის ალუჩას თავს მოვექეცი. მაღალი იყო, ბლომათ გაბარჯღილი. ღვთის წყალობა გაქვს, ჯავრი ვიყარე! წაიღო კბილები, დამჭრა, დამკვეთა. ვინ დაგიდევდა?! წამალი ვიცოდი: როცა სამშვიდობოს გავიოოდი, ნიგოზ გავცოხნიდი და მაშინვე მომირჩებოდა. გავივსე ახალუხის ჯიბეებიც. მერე რა ახალუხისა! სულ ორი დღის ჩაცმული არა მქონდა. ყაყაჩოსავით წითელი ყვავილი ეყარა. ჩითი იყო, ფარჩასა სჯობდა. ტოლები შურით თვალს ვერ აშორებდნენ. ის იყო გული ვიჯერე და ახალუხის უბეს ვიხსნიდი, რომ მომესმა მკახე ძახილი:

— ეჰეი! ეჰეი! აბა ერთი მანდ დამაცადეთ!

გავიხედე, დემეტრე მორბის, სახრეს ჰაერში მოათამაშებს. ელდა მეცა. გადავხედე, სოლიკო კიდეც ჩამოსულიყო.

— ჰარიჯა, დაოიკო! დამიძახა იმან და გადაევლო ღობეს.

ჩამოვეშვი ტოტიდან ტოტზედ. კიდევ მოვასწრობდი ჩამოსვლასაც, გაქცევასაც, მაგრამ... ამისხლტა ფეხი, წამოვედი თავქვეთავქვე. ნეტავ ჩამოვარდნილიყავი! არამიშავდა რა: ლბილი მიწა იყო და ბალახი. ორკაპ ტოტში ახალუხის ჯიბე მოჰყვა გატეხილი და... სამარცხვინოდ ჩამოვეკიდე, ჩამოვკონწიალდი. მომატანა გაბოროტებულმა. გაიშხივლა ჰაერში სახრემ სახრის წვერმა სულ ერთ მტკაველზე გაიზუზუზუნა ჩემი ცხვირის წინ. ეწყინა დემეტრეს; შემოავლო ხელი ხეს: ამოსვლა იწყო. ერთი წუთით და მის ხელში ვიქნებოდი, გაბრაზებულის ილლიაში. ვიგრძენ, რა დღეც დამადგებოდა. დავიკივლე განწირულის ხმით, გავიბრძოლე უკანასკნელად და... ბრაგვა გამცვივდა მიწაზედ. ახალი ახალუხის ჯიბე კალთიანად ტოტზე დამრჩალიყო. ვერ ვიგრძენ რამ ტკივილი. წამოვხტი, მოვკურცხლე; გადავფრინდი ღობეზედ. სანამ დემეტრე ხიდან ჩამობრუნდებოდა, მე სამშვიდობოს ვიყავი. თუმცა, ეჰ, ნეტავ ახალუხ არ დამფხრეწოდა, რაც უნდა მომსვლოდა: ნასახრალი მალე მორჩებოდა, ახალუხი კი ველარ გაახლდებოდა.

XXX.

— მას აქეთ შეგძულდა ალუჩა?

— თვალის დასანახავად შემჯავრდა! არამც თუ თითონ მე აღარ ვეკარებოდი, სხვასაც უშლიდი იმის ჭამას. ან რა საჭმელია! მოუწევარი, მწვანე, მჟავე, ყოვლად სავნო და საძაგელი. ყრუანტელი მივლის, როცა სხვა ახრამუნებს.

— ძალიან შაგშინებია მაშინ, რომ სამუდამოდ აგიკვეთია ის ხილი.

— იქნებ ისე შიშმა არ მიყო და ახალუხის ჯავრმა, როგორც ავადმყოფობამ: იმ დღესვე ცუდად ვიგრძენ თავი და მთელი ორი კვირა ველარ ავდექი: ციება, ბადღამი, ოფლი, საზარი ჩვენებები, ბეწვაშლილი მაჯლაჯუნა კბილებლრჭენილი... ის დღე იყო და ეს დღე, ალუჩას ხსენებაც კი საძაგელ ჟრუანტელს მაგრძნობინებს ტანში.

- ნუ ახსენებ!

— არც ვახსენებდი, აღარც ვახსენებ. მაგრამ მე, —დაიჯერებ?—მას შემდეგ ერთხელ კიდევ იძულებული შევიქმენ მეჭამა ალუჩა, მთელი მუჭა ტყემლის ალუჩა.

— ძალას ვინ გატანდა, შე დალოცვილო?!

— ალბად მატანდნენ! და მერე როგორ! ვსჭამდი, ვქებდი, ვიღიმებოდი. არ კი მგონია, ლამაზი ყოფილიყოს ის ჩემი ღიმილი.

— მიკვირხარ, ღმერთმანი!

— ბევრი საკვირველი შემთხვევაა კაცის ცხოვრებაში, განსაცვიფრებელი.

— მაინც?

— ინებე!

გავიდა ბალღობის ხანა. აკოკრდა ულვაში. ხუჭუჭი წვერი. დავბზინდი. დავვაჟკაცდი. სამზღვარ გარეთიდან ახლად ჩამოსულს თავი რაინდი მეგონა. უტეხ-უძლეველს ქუდად ცა აღარ მიმაჩნდა, ქალამნად დედამიწა. ვინ-ლა მოიგონებდა გაგლეჯილ ახალუხს: საუკეთესოდ მეცვა, ფარჩის სარჩულებს შარიშური გაჰქონდათ. ჩემი მძლეველი, თუნდაც შემბმელი?! ახლად თუ გამოჰგზავნიდა ღმერთი თავის ნათლულ ამირანს! ჩემი მბრძანებელი?! სპარსთა ყეინი თავს ვერ მომახრევინებდა! ალუჩა, ტყემლის ალუჩა?! რა საკადრისი იყო, თუნდაც მყვარებოდა: მხოლოდ საიშვიათო ხილს მივირთმევდი სერისკუდადა. მაღლა ამე თავი, ვარსკვლავებს ვეთამაშებო და...

და გავები მახეში.. მერმე როგ იტყვიან: ოთხივე ფეხით.

— მიამბე!

— გიამბო... ადვილად იტყვი! გ სოვს, ტარიელს რა ექნელებოდა ამ მოთხრობა, როგორ ემზადებოდა?

— ზეპირად ვიცი. მაინც მიამბე!

— გეტყვი, რახან დავიწყე! ს წავუვალ ძმობილის სურვილს?!

XXXX.

გაზაფხული იყო, მაისის პირვე ბი, მთვარე არხეინად მიცურავდა ც კაბადონზედ. ისე ანათებდა დაღ ცვილი, თითქო მზეს ეცილებ ბრწყინვალებაში. წიგნი წაიკითხებ და მის შუქზედ. მარტო დავდიო თავი გამეთავისწინებინა, მითომ ღრმ ჩაფიქრებულს. მრავალ ნაცნობებ არავის ავედევნე; სასაუბროდაც არ ავიყოლე. არ ვიცი, ასეთ გუნებაზ ვიყავი, თუ მეგონა, ამგვარი ქცევა უ რო ყავლას გამიკეთებდა; არ მახსო იქნება აღარც ვინ მიმაჩნდა იქ სა კარად, საყურადღებოდ. ვგონებ იყო.

ვნახოთ, ჩემ პირდაპირ მოდის ს ახალი სული. შევსდექი გაშტერებ ლი. განა ქალი იყო: მთვარეს მოწ ნოდა ცაზედ განმარტოვება, ძირს მოსულიყო ხალხში სამყოფად. შა მკლავზედ გადაეკიდნა. თმა შეკო ლი არა ჰქონდა, შემოხვეული; ლ ტებად გადაეშვა მძიმე ნაწნავე ვარსკლავი ხომ გინახავს ბლომ სხივმიდევნებული, კუდიანი ვარსკვლ ვი საიშვიათო? ის მისი სხივები თმ აეკრიბნა პირმანგს სალამაზოდ! ბერ კაცი ახლდა გვერდზედ ჩემთვის უ ნობი. გავშეშდი. აღარ დავიძარ ად ლიდან: მეგონა, ისევ ჩამომივლი მოვტყუვდი: მთელი საათი ვიდე იქ, მაგრამ ამაოდ. წავედ შინ დაღ

ლიზაციით. ბ-ნ ევლახიშვილის ანტრეპრიზა დამსახურებულ საოპერო მოღვაწის პატივსაცემათ იხდის მის 35 წ. იუბილეს. იუბილიარი „რიგოლეტტოს“ პარტიაში გამოდის. წარმოდგენაში საუკეთესო ძალები იღებენ მონაწილეობას. ჯილდოს პარტიას მღერის ქ-ნი საბანეევა, ჰერცოგისას ვანო სარაჯიშვილი.

**კოლოტოვის საოპერო სტუდია.** ორშაბათს, 31 მარტს კოლოტოვის საოპერო სტუდია ჰმართავს თავის საღამოს. წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ოპერების ნაწყვეტები. შემსრულებელნი კოლოტოვის მოწაფენი არიან.

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს, პირველად ვერდის ოპერა „ტრუბადური“. ხვალ მეექვსედ იდგმება ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

**დრამა „ტარტო“.** 27 მარტს პირველად თბილისის სცენაზე დაიდგმება ფალკოვსკის ახალი კომედია თანამედროვე ცხოვრებიდან „მშვენიერი“.

**ლადია „არგონოვტები“.** დღეს ინტიმიური საღამო მორიგი პროგრამით.

**ქართული წარმოდგენები.** ქართული წარმოდგენები, რომელიც იმართებოდა მსახიობთა „კავშირის“ დასის მიერ სახელმწიფო თეატრში კომისარ ალ. წუწუნავას განკარგულებით შესწყდა. დღემდის არ გამორკვეულა საგაზაფხულო სეზონი შესდგება თუ არა. ჯერ-ჯერობით კი დასი დაიქსაქსა და მსახიობებმა პროვინციებში იწყეს წარმოდგენების მართვა

**დრამატიული საზოგადოების სტუდია.** გასულ შაბათს ქართულ სტუდიას თავის საღამო ჰქონდა. ხალხი ბლომად დასწრო და შემოსავალიც კარგი ჰქონიათ. სტუდია მუშაობას განაგრძობს.

**სკოლა თელავში.** ქ. თელავმა ქართ. სამუსიკო საზოგადოებას შემდეგი თხოვნით მიჰმართა: „წავიკითხეთ რა ქართ. სამუსიკო საზოგადოების ანკეტა მოგმართავთ დაგვიარსოთ სამუსიკო სკოლა და გამოგვზავნოთ თქვენი რწმუნებული, რომელიც საზოგადოებას დეტალურად გააცნობს და შევიმუშავებთ ორგანიზაციულ მხარეს“.

24 მარტს ქართ. სამუსიკო საზოგადოებამ რა განიხილა თელავის მომართვა დაადგინა: გაიხსნას სამუსიკო სკოლა ქ. თელავში იმ პირობით როგორც ქ. ქუთაისში, ამ საალდგომოთ არსდება ქ. სოხუმში და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმისათვის, გამგეობამ ამოირჩია თავის წარმომადგენელად ზ. ჩხიკვაძე, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება თელავში საერთო კრების და აუცილებელ საქმის მოსაწყობათ.

# პროვინციის ცხოვრება

## ბათუმი.

საოლქო საბჭოს დადგენილება ამიერ-კავკასიის ბონებზე კურსის დაარსების შესახებ ინგლისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა. საბჭომ გადასწყვიტა გამოსცეს ფოსტის და სალერბო მარკები. საბჭო შეუდგა ამის შემდეგ დარჩენილ ქონების ლიკვიდაციას. გაიხსნა საოლქო საავათმყოფო. შტატი მხოლოდ რუსებისაგან შესდგება. მოვიდა გემი „წმინდა ნიკოლოზი“ რომელითაც ჩამოვიდენ სოჭაში წაყვანილი ქართველი ტყვეები. მათ შორის მთავრობის წარმომადგენელი ხოჭოლავა დი პოლკ. წერეთელი.

## კახეთში.

### სკოლები.

თელავის მაზრის არც ერთ სოფელში არ არსებობს არც ერთი სასწავლებელი, არც სამკითხველო, გამონაკლისს შეადგენენ ზოგიერთი საზოგადოებები, სადაც არსებობს 2 კლასიან ტიპის სასწავლებლები, მაგრამ მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან.

### ლტოლვილები.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს მთავარ საბჭოს სოხუმიდან ატყობინებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ სოხუმის ოლქში 1918 წ. განმავლობაში გადმოუყვანიათ ოსმალეთიდან სოხუმში რამოდენიმე ათასი ლტოლვილი, განსაკუთრებით სომხები და ბერძნები და დაუსახლებიათ იმავე ოლქის მიწა წყალზე. ამ ჟამად ამ ოლქში 110,000 დასახლებული ყოფილა კაცი, სომეხი, ბერძნები და რუსები მაშინ, როდესაც თვით აფხაზები 50 ათასი მცხოვრებია. ამის გამო ადგილობრივი მცხოვრებნი ძლიერ შევიწროებულ არიან უმიწობით. საბაჟო სამინისტროსა სთხოვს ზომები მიიღოს ამის წინააღმდეგ.

### ავაზაკობა კახეთის რკინის გზაზე.

კახეთის რკინის გზის სამმართველო ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ კახეთის რკინის გზის ლიანდაგის ფარგლებში სიღნაღის მაზრის სადგურ კიშრითიდან დაწყებული მელაანამდე ყოვლათ შეუწყნარებელი ავაზაკობაა გაჩაღებული. ავაზაკები თავს ესხმიან რკინის გზის ლიანდაგის შემაერთებელ მომუშავეთ და სძარცვავენ მათ. მუშები ძლიერ შეშინებულნი არიან ამ გარემოებით და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა ერთი მუშაც არ გამოვიდეს სამუშაოთ. სამმართველო სთხოვს მინისტრს მიიღოს ზომები ბოროტ-მოქმედთა ასალაგმავათ.

### ახალციხის კომისარიატი.

ახალციხის მაზრის კომისარიატის მოქმედება აღდგენილია.

### ყარაიაში გადასახლებულთათვის

ყარაიაში გადმოსახლებულთა კომიტეტი ამით აცხადებს, რო ყველა ის პირნი, რომელმაც მიღებული აქვთ ყარაიაში მიწა და სახლი: ვალდებულნი არიან პირველ აპრილისთვის აქ იყვნენ, სახლ-კარს უვლიდნენ და სასოფლო მუშაობას ეწეოდნენ წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტი მათ მიწას და სახლკარს გადასცემს ახლად მოსულებს, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ დასახლებას. გვარდიელები და ჯარისკაცები ვალდებულნი არიან დროზე შეგვატყობინონ, თუ ფრონტზე იმყოფებიან. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ სახლების შესაკეთებელი მასალა და სათესლე ხორბალი მიღებულია მთავრობისგან.

### კოჯრის მამულები

მიწათ მოქმედების სამინისტროში თხოვნები შემოდის კოჯრის სახელმწიფო მამულებისა, რომლის ექსპლოატაციას შარშან ახდენდა თვითონ მთავრობა სამეურნეო წესით. კოჯრის მამულები სულ სამ მიწის ნაჭრისაგან შესდგება: შტაბის ინსტიტუტის და საფერშლო სკოლისაგან. შემოსავალი აღრიცხული იყო შარშან 40 ათას მანეთად. იჯარადრები წელს სთხოვენ 30 ათას მანეთად დაუთმონ ეს მიწები შენობებით.

### სარევიზიო კომისიის დაბრუნება

მიწათ მოქმედების სამინისტროს საგანგებო კომისია მ. ქარცივაძის თავმჯდომარეობით, რომელიც რესპუბლიკის სასოფლო სამეურნეო მამულების სარევიზიოთ იყო გამგზავრებული ქუთაისსა, გორის და დუშეთის მაზრებში. უკვე დაბრუნდა თბილისს. კომისიას ქუთაისის მაზრაში მოუხდენია რევიზია ყოფილ საუფლისწულო მამულის—ს. ვაჩევში, ყოფილ ანანოვის—ს. ვარციხეში, ყოფილ მელმანისა—ს. ვარციხეში, საქარის სანერგერვი და არგვეთის სარდაფის. გორისა და დუშეთის მაზრებში, ყოფილ საუფლისწულო—ს. მუხრანში, ალაინის ამერიკულ ვაზის სანერგე. პრაქტიკული სკოლა — ს. ოძისში ყოფილ ორბელიანთა და ერისთავიანთ მამულებში—ს. ლამისყანაში, ს. ვაჩევის ყოფილ საუფლისწულო მამულის გამგე ყოფიანის ნაცვლად დაუნიშნავს კომისიას მეგრელიშვილი. კომისიის აზრით მეურეობა ყველა მამულებში ნელ-ნელა მტკიცე ნიადაგზე სდგება.

### ახტალის ტალახიანი წყლები

სიღნაღის სამაზრო ერობამ წარუდგინა მიწათ-მოქმედების სამინისტროს დასამტკიცებელი ხარჯთ-აღრიცხა და გეგმა ახტალის ტალახიან წყალთა სამკურნალოს დაარსების შესახებ, სადგურ გურჯაანთან. საერთოდ მთელი ხარჯთ-აღრიცხვა, როგორც სამკურნალოსი, ისე სასტუმროსი 50 ოთახითნავარაუდევია 405563 მან. 13 კაპ. საერობო გამგეობა სთხოვს სამინისტროს რაც შეიძლება მალე დაამტკიცოს ეს შუამდგომლობა, რომ მომავალ გაზაფხულიდანვე გაიხსნას ეს სამკურნალო სასტუმროები.

# ცეცხლი გელათის მადანში

18 მარტს გელათის მადნებში ცეცხლი გაჩნდა. დიდი ცეცხლის გამო დახურეს ყველა შესავალი მადნებისა და თვით კაპიტალური ფულუროც. ყიფშიძემ გაუგზავნა გელათის მადნების გამგეს დეპეშა, რომ სწრაფლ მიეღო ყველა ზომები ცეცხლის ლიკვიდაციისა და დახმარებისთვის მიემართათ ტყვიბულის ქვანახშირის მადნების ადმინისტრაციისათვის, რომელსაც ზ. ყიფშიძემ დეპეშითვე მოსთხოვა დახმარების აღმოჩენა. გელათის მადნების გამგეს მოსთხოვა აგრეთვე, რომ აცნობოს: ხომ არავინ არ დაშავებულა ცეცხლის დროს და თან აცნობა, რომ საოლქო ინჟენერი დაუყონებლივ იქნება გამოგზავნილი. ამ დეპეშის პასუხად ზ. ყიფშიძემ მადნების გამგისაგან შემდეგი საპასუხო დეპეშა მიიღო: „უბედურობა ხალხის თავს არა ყოფილა. დღეს დავამთავრეთ მუშაობა კაპიტალურ ფულუროზე 8 საჟ. მანძილზე, დაგვრჩა სამუშაოების წარმოება მადნების ზევითა სართულზე. ცეცხლმოდებულ მადნების რაიონი დაახლოებით 1000 საჟენს უდრის. სათადარიგო, ამოუღებელ ქვა-ნახშირის რაოდენობა დაახლოებით 50 ათას ფუთს უდრის“.

# ქალაქის საბჭოს რეზოლ. ქალაქის მოსამს. მოთხოვნილების შესახებ.

მოისმინა რა გამგეობის მოხსენება ქალაქის მოსამსახურეთა ნაწილის მოსალოდნელ გაფიცვის შესახებ, ქალაქის საბჭო აღიარებს, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა წინააღმდეგ თბილისის პროლეტარიატის პროფესიონალური კავშირისა და ცენტრალურ ორგანოს გადაწყვეტილებისა, მხოლოდ დეზორგანიზაციას შეიტანს ქალაქის მუშაობაში, ზიანს მოუტანს რესპუბლიკას და დემოკრატიას, რომლის წარმომადგენელია ქალაქის საბჭო, დიდად საზარალოა საერთოდ ქალაქის დემოკრატიის ინტერესებისათვის, რადგან გამოიწვევს ისეთ დაწესებულებათა მოქმედების შეჩერებას, როგორიცაა გადამდებ სენიანთა ბარაკებისაავათმყოფოები, გააუარესებს თვით მოსამსახურეთა მდგომარეობას, რადგან შეჩერდება შემოსავლის შემოტანა ქალაქის კასაში; ამიტომ ქალაქის საბჭო გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ ქალაქის მოსამსახურენი არ გაჰყვებიან გაფიცვის გზას და ამით კი დევ უფრო არ გაართულებენ ქალაქის თვითმართველობის უმისოდაც მძიმე მდგომარეობას.

ამასთანავე იღებს რა მხედველობაში ქალაქის მოსამსახურეთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, საბჭო აძლევს წინადადებას ფინანსიურ კომისიას მიიღოს გამგეობასთან ერთად გამონახონ მოსამსახურეთა თავის დროზე დასაკმაყოფილებლად, ყოველგვარი საშუალებანი, როგორიცაა მთავრობასთან მოლაპარაკება შემოსავლის ახალი წყაროების გამოსანახავად და სხ. რაც შეეხება წარსულ თვეების ჯამაგირებს, საბჭო წინადადებას აძლევს გამგეობას მიიღოს ზომები, რომ თებერვლის ჯამაგირის დარიგება დაიწყოს არა უგვიანეს 1 აპრილისა.

# მუნიციპალური ცხოვრება

ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილების გამგემ ინჟ. გ. ზ. ქურდიანმა განკარგულება მოახდინა, რათა განყოფილებამ შეადგინოს „დეზერტირის“ ბაზრის მოწყობის პროექტი და ხარჯთ აღრიცხვა.

—

ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიამ უარჰყო სახალხო უნივერსიტეტის ქალაქის გამგეობის მხედველობის ქვეშ მიღება, რადგანაც ამას სთხოვს მარტო სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოების გამგეობა და საქმიდან არა სჩანს, რომ მას ამაზე საზოგადოების დასტური ჰქონდეს აღებული.

—

საქართველოს ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობამ შვიდი დღის შემდეგ შაბათს, 22 მარტს, ღამის 12 საათზე თავის მუშაობა დაამთავრა საქართველოს ქალაქთა კავშირის უმთავრეს კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნებით. ქალაქთა კავშირის უმთავრეს კომიტეტის წევრებათ ამორჩეულ იქმნენ: ბ-ნნი დ. კალანდარაშვილი, ჯაფარიძე, ჯაჯანაშვილი, ნ. ელიავა, ბ. ჩხიკვიშვილი, ფალილეევი, მ. რუსია, კორძაია, ზუხბაი, შარაშანიძე, მურვანიძე, ანდრონიკაშვილი, გაგუა, ს. მდივანი. კანდიდატებათ ამოირჩიეს ბ-ნნი ურატაძე, იმნაძე, მიქელაძე და ჭავჭანიძე. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ ბ-ნი ხიდირბეგიშვილი, კონიაშვილი, კახიანი, გოცირიძე და პაპავა. მათ კანდიდატებად—ბ-ნი ტყავაძე და გაგუა.

—

საქართველოს ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობამ ორ სხდომაზე განიხილა საკითხი ქალაქის გამგეობის და მის მოსამსახურების შორის კოლექტიური ხელშეკრულობის შესახებ და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: მიიღო რა მხედველობაში, რომ ქალაქის თვითმართველობანი წარმოადგენენ სახელმწიფო გამგეობის ორგანოებს და შედიან სახელმწიფო დაწესებულებათა სისტემაში, რომ სახელმწიფო უფლების ფუნქციებთან ერთად ქალაქის თვითმართველობანი ანხორციელებენ აგრეთვე კერძო სამეურნეო მოღვაწეობას, ყრილობა ჰპოვებს, რომ კოლექტიურ ხელშეკრულობას შეუძლიან იქონიოს ალაგი მარტო ამ უკანასკნელ შემთხვევაში ესე იგი საწარმოებელ მოღვაწეობაში.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

25 მარტი.

## ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი,** მარ. 25. ც. ა. კ. ბ. ბიულეტენი. ქალაქ ლიტონის დაჭერის დროს წითელმა ჯარმა წამოიყვანა ტყვედ 5000 პეტლიურას ცხენოსანი ჯარის კაცი.

**№ ის არმიის შტაბი.** წითელი ჯარი ყირიმისაკენ მიიწევს. დნეპრის დივიზიის ნაწილმა დაიჭირა სადგური რიიევო, ნოვო-ალექსეევკა და სივაშს მიუახლოვდა.

**ჰამბურგი.** მარ. 23. ქალაქ ბესკთან თეთრგვარდიელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ უკუ ვაქციეთ. მიტავის რაიონში მოწინააღმდეგემ ჯავშნიანი მატარებლის და ზარბაზნების დახმარებით დაიწყო შემოტევა. ჩვენი ჯარი მოწინააღმდეგეს იგერიებს. ბრძოლა გრძელდება. პონოვეჟის მიმართულებით გერმანელები გავაქციეთ და დაბა სმილჩი დავიჭირეთ. ნეიჩაუზენი სამხრეთით ჩვენ დავიჭირეთ ვატკი, მარიენბურგი ვალკის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს, დავიჭირეთ ს. სარბა, მარიენბურგის მარჯვენა მთისკენ სამი დღეა ბრძოლაა. ტუკუმ-მიტავის რკინის გზასთან ბრძოლა დაიწყო. ოლიასკის მიმართულებით თეთრგვარდიელების იერიშები მოვიგერიეთ.

**№-ის არმიის შტაბი.** კუნგურის მიმართულებით სვინის რაიონში, მოწინააღმდეგემ იერიშები მოიტანა, მაგრამ უკუ ვაქციეთ. პერმის მიმართულებით რკინის გზის რაიონში მოწინააღმდეგემ ცეცხლი გააჩინა. ს. სეტის რაიონში დროგამოშვებითი ბრძოლაა. სვინის რაიონში მოწინააღმდეგემ კოზრიკოვი დაიჭირა. ნოვო-მიხაილოვის ჩრდილოეთით ბრძოლაა.

**პეტერბურგი.** მარ. 24. 6 და 15 აპრილს შუა პეტერბურგში ჩრდილოეთ გუბერნიების სახალხო განათლების განყოფილებების ყრილობა შესდგება.

**კიევი,** მარტი 23, ცნობების მიხედვით, გალიციაში რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება. ამას ხელი შეუწყო რუს-კომუნისტ ტყვეების აგიტაციამ პირველად აჯანყდნენ დროგობიჩის რაიონის სამრეწველოების მუშები დაარსეს მუშათა დეპუტატების საბჭო. შემდეგ კალუგის მარილის მაღაროებში მომუშავეთა აჯანყებულების წინააღმდეგ გაგზავნილი მათ მხარეზე გადავიდა. რევოლიუცია მოედო მთელ გალიციას, ქალაქებმა პოდგოიცამ, გალიჩმა, როგატიშმა, ბერეჟანიმ თავის თავი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა. ლვოვში მუშათა დეპუტატების საბჭო დაარსეს და საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. გოლუბოვიჩის კაბინეტის მიერ გაგზავნილი ჯარი სტანისლავოვის რაიონში შეუერთდა აჯანყებულთ. აჯანყებულები შევიდნენ სტანისლავოვში და გოლოუბოვიჩი დააპატიმრეს. სტანისლავოვკა აჯანყების ბუდეა.

**კიევი.** მარ. 23. მოვიდენ უნგრეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელნი.

**ვინიცა.** მარ. 23. დირექტორიის ყოფილ სატახტო ქალაქში. ღარიბ ნაწილთა ცხოვრება კალაპოტში დგება.

**ჩერნიგოვი.** მარ. 23. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულმა კომისიამ აკრძალა დადგენილების გამოტანა, იმ შემთხვევის გარდა, რომლის გადადება შეუძლებელია კონტრ-რევოლიუციის აჯანყების და დარბევის დროს. დადგენილება უნდა წარედგინოს დასამტკიცებლათ რევოლიუციონურ ტრაბუნალს. უკრაინის სახალხო სამეურნეო სასურსათო კომისარიატის საბჭო წინადადებას იძლევა კოოპერატიული ორგანიზაციები არ დაცალონ რადგან მეურნეობა კრიზისს განიცდის.

**დვინსკი.** მარ 23. ლატვიის სახალხო განათლების კომისარიატმა მოწერილობა გაუგზავნა სკოლის გოტიური შრიფტიდან ლათინურზე გადავიდნენ.

**ჟენევა.** მარ. 23. ისპანიის მთავრობის მიერ კატალონიაში გაგზავნილი დამსჯელი რაზმის ექსპედიციამ მთავრობისთვის უნაყოფოთ ჩაიარა. მეზღვაურებმა პინდიკალისტების წინააღმდეგ მოქმედებაზე უარი განაცხადეს. ბარსელონაში მოხდა მანიფესტაციები რევოლიუციონურ მეზღვაურთა პატივისაცემლათ.

**ნაუენი.** მარ 23. მეზღვაურთა კრებამ დაადგინა არ დათმოს გემების რომელნიც დროებითი ზავის პირობების თანახმად მოკავშირეებს უნდა გადაეცეს.

**ბუდაპეშტი.** მარ. 24. უნგრეთის ყველა პარტიების ორგანოები სალამს უძღვნიან ახალ წეს-წყობილებას. სამხედრო სახალხო კომისარმა მოწოდებით მიმართა უნგრეთის ჯარისკაცთ, რომელნიც რუსეთიდან დაბრუნდენ და სადაც ისინი წითელ არმიასთან ერთად იბრძოდენ, ჩაეწერონ საერთაშორისო პირველ წითელ პოლკის ასეუფევ მოწოდებით მიმართა რუსულ ენაზე უნგრეთში მყოფ რუს სამხედრო ტყვეებს.

**მოსკოვი,** მარ. 21. ბარანოვიჩი საბჭოთა ჯარმა დაიჭირა. წითელ არმიის სულიერი მდგომარეობა ჩინებულია.

**ალექსანდროვსკი.** მარ. 22. ბერდანსკის მაზრაში თეთრგვარდიელებმა დახვრიტეს ათასამდე მუშა და გლეხი. ტოკმაკში ჩვენ ხელთ ვიგდეთ საავტომობილო სახელოსნოები. თეთრგვარდიელების უკანდახევის შემდეგ გერმანელთა კოლონიებში ჩაგვაბარეს 15000 თოფი, 12 ტყვიისმფრქვეველი და 32 სამ დუმიანი ზარბაზანი.

**ჩერნიგოვი,** მარ. 24. ქმერინკასთან ვინიცასთან და კამენეც პოდოლსკთან პეტლიურას დამარცხების გამო დირექტორიის წინააღმდეგ დაიწყო აჯანყება რომელშიაც მონაწილეობენ ყველა ქარხნების მუშები და ძალით გაწვეული ჯარისკაცები. მეცხოვნე ჯარმა უარი განაცხადა საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველათ გასვლაზე.

**მოსკოვი.** გაიმართა დიდი მიტინგი სადაც გადასწყვიტეს გახსნან ფრონტი საბჭოთა ჯარის შემოსასვლელათ ამერიკის მხრით, თეთრგვარდიელებმა აჯაყებულთ ტყვიისმფრქვეველიდან და ზარბაზნებიდან აუტეხეს სროლა. აჯანყება ძლივს ჩააქრეს. აჯანყებულთა პოლკი დაშალეს.

**მოსკოვი,** მარტის 24. გამოქვეყნებულია რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის ტროცკის ბრძანება ჯარისადმი სადაც უკანასკნელთ წინადადებას აძლევს შეუბრალებლათ დასაჯონ მცარცველები. თუ გლეხებს შორის მოახდინეს ცხენების ან სხვა რამის რეკვიზიცია. ყური უგდონ რომ ფასი გადახდილ იქნეს. შეუბრალებლათ გაუსწორდენ კონტრ-რევოლიუციონურ აგიტატორებს. რომლებიც ცდილობენ ააჯანყონ მუშები საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. გუშინ კავშირების ბინაზე დიდ დარბაზში ზეიმით გახსნეს პროლეტარული უნივერსიტეტი რომლის მიზანია განავითაროს პროლეტარიატი და აღზარდოს ისეთის მუშები რომლებიც რევოლიუციონურ სულით იქნებიან გამსჭვალული და გაავრცელებენ მას რუსეთის ყველა სოფლებში და ქარხნებში. ჯერჯერობით უნივერსიტეტი გაიხსნება მოსკოვში შემდეგ კი შორეულ პროვინციებშიც. ორატორებს შორის, რომლებიც პროლეტარულ დაწესებულებების სახელით გამოვიდენ, იყვენ უნგრეთის და ამერიკის დელეგატები. პროლეტარულ უნივერსიტეტის გახსნა მოწმობს მას რომ შიმშილის მიუხედავად პროლეტარიატი არ ივიწყებს თავის სულიერ შიმშილსა. რკინის გზაზე სამგზავრო მიმოსვლის შეჩერების გამო მუშათა კოოპერაციის სრულიად რუსეთის კონფერენცია 28 აპრილისათვის გადაიდო.

# ჩრდილო-კავკასიაში

### მოლაპარაკება მთიელთა მთავრობის და დენიკინის შორის.

კავკავიდან მოსულ ცნობების მიხედვით მთიელთა მთავრობის თავჯდომარეს პშემახო კოცევს ქალაქ ეკატერინოდარში მოლაპარაკება ჰქონია გენერალ დენიკინთან. საუბარი ყოფილა მოხალისეთა არმიის და მთიელთა რესპუბლიკის პოლიტიკურ საკითხების შესახებ. მთიელთა მთავრობის დელეგაციას წაუყენებია მემორანდუმი. მემორანდუმში ნათქვამია რომ მათი ბრძოლა იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ და დღესაც იგი მზად არიან შეუერთდნენ თერგ დაღესტანის სამოქალაქო ძალა-უფლებას და მათ წინააღმდეგ იბრძოლონ.

# აზერბაიჯანი

—

გაზეთ „აზერბაიჯანის“ უკანასკნელ №-ში შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი მთიელთა რესპუბლიკის შესახებ:

### ბრძოლა გოიტის აულთან

რამოდენიმე დღის წინეთ, მოხალისეთა ჯარი, გროზნიდან საჩეჩნეთში გაემართა, მაგრამ სასტიკად დამარცხდა გოიტის აულთან. მოხალისეთა ყაზახებმა ბრძოლის ველზედ დასტოვეს 2 დიდი ზარბაზანი, 4 ტყვიისმფრქვეველი 400 კაცი დაჭრილ-დახოცილი.

დამარცხებულებმა გროზნისაკენ დაიხიეს.

### წითელ-არმიელები

წითელ-არმიელები, რომელნიც საჩეჩნეთში და ინგუშეთში იმალებოდნენ, ხალხმა გადასცა მთავრობას, რომელნიც ფიქრობს მათს ინტერნაციას დაღესტნის მთიულ-აულებში.

### მთავრობის თავმჯდომარე

მთიელთა მთავრობის თავმჯდომარე პ. კოცევი, მოგზაურობიდან ჯერ არ დაბრუნებულა. ფიქრობენ, რომ იგი იმყოფება საჩეჩნეთში, საიდანაც თემირ-ხან-შურაში. გაემგზავრება.

### ერთი დღით გაფიცვა ბაქოში.

20 მარტს 26 ბაქოელ კომისრების დახვრეტის ნახევარ წლის თავზე გა-

---

ნებული. სისხამ დილაზედ ავდეჟქ. ვინ მე, ვინ ადრე ადგომა! რამდენი ხანი იყო, აღარ მენახა ამომავალი მზე. ვიარე. ვეძებე. ვიკითხე. მივაგენ. გავიცან. გამოვები ნაწნავთ ბოლოზედ უწყვეტი ჯაჯვით ხელებ შეკრული. მაშინ და შევიგენ ძახილის ძალა:

„მე მონად შევქმნილვარ ერთისა მზისა!“...

რა მაგრა ვეჭირე პაწაწა ხელში! თვალ-წარბში შევყურებდი, სურვილთ ნასახებსაც აუსრულებდი. მიდი ერთი ნუ აასრულებდი, როცა მის სახეზედ ბჩრდილის კვალიც გულს შიშით გიპობდა, ძრწოლასა უგვრიდა. ერთიც ვნახოთ, რამე არ მოსწონებოდა შენში და...... და გამწყრალიყო, გაგშორებოდა რაღას აპირობდი მაშინ?! ეჰ, სრულიად ვიგემე ტკბილი მონობა და სანატრელი შებორკილება.

თითქო თანდათან ლბებოდა მისი გული ჩემთვის: მიახლოვდებოდა, მეტყოდა; გამომკითხავდა; ათასში ერთხელ სასეირნოდ გამომყვებოდა. ბერი არ ელის სამოთხის ბჭეს ისეთი სურვილით, როგორი სიხარულითაც მე ველოდდი მათ კარს მისვლასა. ეს ბედნიერებაც ეხლა ხანდისხან წილად მხვდებოდა...

— დაგავიწყდა! ალუჩაზედ დაიწყე წელან; სულ სხვას ამბობ.

— მაცა, თუ ღმერთი გწამს!

მივედი ერთ საღამოს. გული გამელო: პირმანგი ბალჩაში დამხვდა განმარტოებული. წინ მაგიდა ედგა და ზედ ბროლის სანით... ტყემლის ალუჩა. მიირთმევდა, აკნაწუნებ-ახრამუნებდა. რა კბილები ჰქონდა! მძივივით მოსხმული, წვეტიანი, თეთრზედ უთეთრესი. დავხედე, ჟრუანტელმა დამიარა ტანში, უსიამოვნო რამ შეგრძნებამ.

— აბა ამას რას მიირთმევთ, ქალო! კბილს მოგჭრისთ, გაწყენსთ.

— ძალიან მიყვარს. რა უშავს, თუ კბილს მომჭრის.

— ნუ ინებებთ! სხვა რამ ხილი მიირთვით.

— განა თქვენ არ გიყვართ, ყმაწვილო, ალუჩა?! ტყემლის ალუჩა გახლავსთ საუკეთესო, მითხრა ლამაზმა.

და ორაზროვანი ღიმილით დამაცქერდა. წადი შენ ეხლა და უთხარი, არ მიყვარს, არ ვარგათქო. ერთიც ვნახოთ, შენი სიტყვებიდან ჰაზრი დაასკვნა, ჩვენ ერთნაირი გემოვნება არა გვქონიაო, გავიფიქრე მე და შევკრთი, მუხლი ამითრთოლდა.

— რამ შეგაშინა?

— რამა?! შენ არ იცი, ამისთანა თქმას, ამგვარ დასკვნას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ლამაზის მხრივა?! შეყვარებული არა ჰყოფილიხარ არასოდეს, არ გიწვნევია..

— არა, როგორ არ მიყვარს ალუჩა, მეტადრე ტყემლისა... პატარობისას... მაინც საშიში გახლავსთ, არ გაწყ...

— აბა ნახეთ, რა კარგია! მიირთვით! მიბრძანა უწყალომ.

და მომაწოდა ალუჩა. განა თეფშით მომიბყრო, ერთი ამეღო; მარგალიტის სადაფს რომ უგვანდა მუჭა, იმ ხელით მამაწოდა, რამდენიც შესძლო. ჩამოვართვი. კინაღამ ხელზედ ვაკოცე. ვერ შევბედე! ჩავიდე პირში, გავკვნიტე. ნაკვერჩხალი დამეკვნიტა, ის კი მერგო ჩივნა: შესაძლო მაინც იქმნებოდა, დავღრეჯილიყავ. მანამა ვსჭამდი, მოღიმარე თვალებს არ მაშორებდა სულ გავათავე...

— ხ თრით?

— არ ვიცი, ხათრით თუ შიშით. მაინც გავათავე და... კიდევ კარგი შემდეგში დამიფასდა ჩემი გმირობა, თავის განწირვა.

ვასილ ბარნ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცხადებული იყო გაფიცვა, 22 მარტს გაფიცვამ მშვიდობიანად ჩაიარა. არავითარი დემონსტრაციები არ მომხდარა მუშების მხრით. ბოლშევიკებმა გამოუშვეს მოწოდებები. გაფიცვამ სულ რვა საათი გასტანა. მაჰმადიან მუშებმა გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღეს.

## აფხაზ. სახალხო საბჭო

აფხაზეთის სახალხო საბჭომ 18 მარტს 12 საათზე ალკიზის თეატრში გახსნა საბჭოს უხუცესმა წევრმა რამიშვილმა შემდეგი სიტყვით: „ძალიან მძიმე და რთულ დროში მოუხდა შეკრება ახალგაზრდა საბჭოს. აფხაზეთი უკვე დიდი ხანია გახდა ადგილი ბრძოლისა რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის შორის და დემოკრატიზმის და მონარქიზმის შორის, რომელსაც მონობა მოაქვს ხალხისთვის. სახალხო საბჭოს ვალია, ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღოს დემოკრატიის გაუბედაობას, და მერყეობას და საბოლოოთ გამოარკვიოს მთელი ოლქის პოლიტიკური კურსი. ხალხის წარმომადგენლებმა უნდა სთქვან, საით წავა აფხაზეთი — მონარქიზმისკენ, თუ დემოკრატიზმისკენ. ამაზე დამოკიდებულია საბჭოს მომავალი მუშაობა. გაუმარჯოს თავისუფალ აფხაზეთს! გაუმარჯოს აფხაზეთში და საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის ძმობას, ერთობას და სიყვარულს! გაუმარჯოს აფხაზეთის და საქართველოს დამცველ რესპუბლიკის ჯარს. „კრებას დაესწრო თითქმის ყველა დეპუტატი. დიდი უმრავლესობით თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა დ. კ. ემუხვარი და პირველ მდივნათ კოროლიოვი. პარლამენტში 7 ფრაქციაა: სოც.-დემ. 27 დეპ., ესერების 3, სოც.-ფედ. — 1, ნაც.-დემ. — 1, ახალშენთა ჯგუფის — 1, დამოუკიდებელ სოციალისტთა ფრაქციის (აფხაზეთის დამოუკიდებლობის მომხრენი) — 4, უკანასკნელთაგან გამოყოფილ მემარჯვენე ჯგუფს — 3. პირველი დღე უძღვნეს დეკლარაციის გამოქვეყნებას და მილოცვების კითხვას. დეკლარაციებში, სადაც აღიარეს აბხაზეთის ავტონომია და სახელმწიფოებრივი კავშირი დემოკრატიულ საქართველოსთან, დისონანსი შეაქვს დამოუკიდებელ სოციალისტების და უკიდურეს მემარჯვენეთა ჯგუფს, რომლებიც სხდომის დასასრულს გაიყვნენ. მათი დეკლარაცია სავსეა ბრალდებებით საქართველოს დემოკრატიის მიმართ, რომლებმაც ვითომ ცეცხლით და მახვილით, სიკვდილით დასჯით და ყოველგვარ ძალდატანებით, რომელიც არ ნახულა ნიკოლოზ მე-2 დროსაც, დაიმორჩილეს აფხაზეთი. დეპუტატ კაკუბავას ინსინუაციებმა, სიცრუემ, ფაქტების გადამახინჯებამ და იმ გარემოებამ, რომ კაკუბავამ განაცხადა, რომ არ სცნობს ამ საბჭოს, მოთმინებიდან გამოიყვანა დეპუტატები. შეუძლებელი შეიქნა აღშფოთებულ დარბაზის შეჩერება. დამოუკიდებელთა მთელი ჯგუფი ორატორს მხარს უჭერდა. დეკლარაციის განხილვის მეორე დღეს რამოდენიმე ორატორმა გამოილაშქრა იმ ორატორების წინააღმდეგ, რომლებმაც თავის თავზე იკისრეს ხალხის მტრობის როლი პარლამენტში ორი მიმდინარეობაა: უმრავლესობაა — დემოკრატიული, მეორე ჯგუფი კი დენიკინის რუსეთის მომხრენი, მეორე ჯგუფმა, რომელიც 8 კაცისაგან შესდგება, წამოაყენა მოთხოვნილება: სრული ამინისტია გადასახლსბულთა, რომლების დიდი ნაწილი დენიკინის ჯარს ეკუთვნის, ჯარის დაუყონებლივ გაყვანა აფხაზეთიდან (ღალალი), საგანგებო კომისიის და ყველა „ქართველი მოხელეთა“ გაყვანა, დაწესებულებათა დენაციონალიზაცია (დაწესებულების ნაციონალიზაციის შემთხვევა არ ყოფილა აფხაზეთში) და სხ... ცაგურია ასე ათავებს თავის სიტყვას: „თქვენითა მამ“... საბჭო და დეკლარაციები დიდი სკანდალით დასრულდა.

დეკლარაციის კითხვის დროს დამოუკიდებელთა ჯგუფმა იმ ადგილას, სადაც ორატორი ამტკიცებდა, რომ საერთო არაფერი აქვს მოხალისეთა ჯართან, ერთმა ამ ჯგუფიდანვე წამოიძახა: „თქვენ უკვე გქონდათ მათთან მოლაპარაკება“. მესამე დღეს კაკუბავამ პირად საკითხის სიტყვის დროს უდიერი სიტყვებით მიჰმართა ჩხიკვიშვილს და უწოდა მას ავაზაკი და ექსპროპრიატორი, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ დარბაზში. ამ საქციელმა ზოგიერთი დეპუტატი ისე აალელვა, რომ ადგილიდან წამოიჭრნენ, მზად იყვნენ, იქვე გასწორებოდნენ ორატორს. კაკუბავა დაცხრა, მაგრამ მაინც თავისებურად განაგრძობს და სიტყვის დასასრულს სტოვებს საბჭოს სხდომის ბოლომდე. მისი ფრაქციული ამხანაგი დემიანოვი გამოვიდა განცხადებით, რომ ყველაფერი ის, რაც სთქვა კუკუბავამ ჩხიკვიშვილის მიმართ მართალი არაა და იცნობს ჩხიკვიშვილს ისეთ ადამიანათ, რომელსაც პატიოსანი პოლიტიკური წარსული აქვს. (ტაშს უკრავს ყველა). შემდეგ წარმოადგინეს რეზოლიუცია ყველა იმ სოციალისტური ფრაქციათა ბლოკისა, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შედიან. დემიანოვმა აღძრა საკითხი: აქვს თუ არა უფლება საბჭოს, გადასდგას ასეთი ნაბიჯი და აღნიშნავს, რომ წარსულ ხელშეკრულების თანახმად ის არ სცნობს ამ უფლებას. მას მხარს უჭერს ცაგურიას, ანანიას, ჩანბას და მარღანიას ჯგუფი. ამ საკითხის შემდეგ კენჭის ყრა მოხდა. საბჭოს უფლებას მხარს უჭერს 29, თავს იკავებს — 5, წინააღმდეგი არავინაა. რეზოლიუცია შეიცავს სამ მუხლს: პირველი ავტონომიის შესახებ, მეორე ავტონომიის შემოღება სოც.-დემ. დეკლარაციის პლატფორმაზე და მესამე — შერეული პარტიული კომისია საქართველოს დამფუძნებელ კრებისა და საბჭოს კონსტიტუციის შესამუშავებლად. კერძო თათბირის შეთანხმების მისაღწევად, მეორე მუხლს ხსნიან. კენჭს უყრიან დანარჩენ ორს. პირველი მუხლის კენჭის ყრა ფარულად ხდება, მომხრეა — 27, თავს იკავებს 3, ოთხი ქაღალდი ცარიელია. მეორე მუხლი ერთხმად მიიღეს. შესწორებას, სადაც ნათქვამია საქართველოსთან კავშირის დარღვევის გარანტიის შესახებ საქართველოს პოლიტიკურ წყობილების ცვლილების დროს, ხსნიან, როგორც ზედმეტს. ავტონომიის აქტის მიღების შემდეგ მთელი დარბაზი ფეხზე დგება და რამდენიმე წუთის განმავლობაში ტაშს უკრავს და იძახის „ვაშას“. პირველ დღეს პირადათ მიესალმნენ გენ. გედევანიშვილს და ჯარს გაუგზავნეს დეპეშა. დღეს მიესალმნენ ყოფილ დეპუტატს ჯუღელს. შემდეგ გადასდგეს რეალური ნაბიჯები ავტონომიის განხორციელების საქმეში და მოითხოვეს დენიკინის ჯარისაგან გაგრის ოლქის დაცლა მდინარე ბზიბამდე, აფხაზეთის ისტორიულ საზღვრამდე. ამნისტიის საკითხის შესახებ მიიღეს სოც.-დემ. შემდეგი რეზოლიუცია: მივმართოთ მთავრობის თავმჯდომარეს და იუსტიციის მინისტრს და ვთხოვოთ, მოსპონ მათი საქმეები, რომლებსაც ბრალდება აფხაზეთში ბოლშევიკურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. დანარჩენ პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიის საკითხი გადასცეს განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც შესდგება საბჭოს წევრებისაგან.

## ამონაწერი

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის ოქმებიდან (1019 წ. 16, 17 და 19 მარტი).

**განხილული საკითხი.**

რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის ახლანდელი მდგომარეობა და უცხო სახელმწიფოებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობა. ამ საკითხის შესახებ მოხსენებები გააკეთეს: სავაჭრო სამრეწველო სამინისტროს დირექტორმა, დ. აფხაზმა, პ. გოთუამ, (კომისიის სახელით) ს. მდივანმა, გ. სხარულიძემ, მ. ბახტაძემ, კალანდაძემ და ალ. ქადაგიძემ.

**ყრილობის დადგენილება.**

კომისიის დადგენილებას, რომ საზღვარ გარეთის ფირმებთან მოეწყოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა, რა მიზნისათვისაც საჭირო იქნება რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში თავმოყრილ საქონლის შესყიდვა, ყრილობა პრინციპიალურად ეთანხმება; ყრილობის აზრით ამ საქმისათვის საჭიროა 200.000.000 მანეთი, დაევალოს ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს ამ საკითხის შესახებ დაიმუშაოს საჭირო მასალები და ცალკე მოხსენებით წარუდგინოს მთავრობას; ამ საქმის ორგანიზაციაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საკრედიტო დაწესებულებებმა და კოოპერატიულ კავშირებმა.

**განხილული საკითხი.**

სეზონური ვაჭრობა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში და ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებების მიერ სესხის გაცემა.

**ყრილობის დადგენილება.**

რადგან რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობისა და აღებ-მიცემობისათვის სეზონურ ვაჭრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მთავრობამ და სათანადო დაწესებულებებმა სეზონურ ვაჭრობის განვითარებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ: ძველი მოსავლის განაღდებით რიგიან ფასებში და ახალი მოსავლის შესყიდვისთვის საჭირო სესხის აღებით.

**განხილული საკითხის.**

კომისიის მოხსენება მცირე კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ზოგადი დებულების კანონპროექტის შესახებ.

**ყრილობის დადგენილება.**

კომისიის მოხსენება და განხილული კანონი გადაეცეს ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ამ საკითხის შესახებ სხვა ორგანიზაციებში არსებულ მასალას უნდა გაეცნოს და კანონ-პროექტი დაჩქარებით წარადგინოს დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლად.

**განხილული საკითხი.**

ცენტრალური სააქციონერო ბანკი, და სხვა.

**ყრილობის დადგენილება.**

1. რესპუბლიკაში არსებულ საკრედიტო დაწესებულებათა (საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი, შემნახველ-გამსესხებელ და წვრილი კრედიტი ამხანაგობანი და სხ.) შესაკავშირებლად, მათი საქმეების გასაძლიერებლად და საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად დაარსდეს ქ. თბილისში ცენტრალური სააქციონერო ბანკი მოსკოვის სახალხო ბანკის წესდების მიხედვით; ამ წესდებაში შეტანილ იქმნას ადგილობრივი — თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით საჭირო ცვლილებანი.

2. ცენტრალურ ბანკის დაარსებით ადგილობრივ ბანკებს: საურთიერთო ნდობის საზოგადოებებს და წვრილ კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათ თვის სამოქმედო რაიონში სრული დამოუკიდებლობა უნდა შერჩეთ და მათი ავტონომიური საქმიანობა ცენტრალურმა ბანკმა ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით უნდა გააფართოვოს და მტკიცე ნიადაგზე დააყენოს; აუცილებელ საჭიროებად მიჩნეულია, რომ ზემოხსენებულ დაწესებულებათა ფუნქციები გაფართოვდეს.

3. კომისიის აზრით ახალ ცენტრალურ სააქციონერო ბანკს უნდა ეწოდოს: „საქართველოს სახალხო ბანკი“. ამის მიხედვით შესაძლოა შეიცვალოს არსებული საკრედიტო დაწესებულებათა სახელწოდება, მაგალითად: „ოზურგეთის სახალხო ბანკი“.

4. ახალი სააქციონერო ბანკის და არსებულ საკრედიტო დაწესებულებათა წესდებების ტექსტის საბოლოო რედაქციის შემუშავება დაევალოს ყრილობის აღმასრულებელ ორგანოსა და განსაკუთრებით მიწვეულ სპეციალისტთა შეერთებულ სხდომას.

5. რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც საკრედიტო დაწესებულებანი არ არიან და მათი დაარსება ადგილობრივი ვაჭრობა-მრეწველობისათვის და სასოფლო მეურნეობისათვის საჭიროა, დაარსდეს შესაფერი ტიპის ბანკები (§ 9).

6. ეთხოვოს მთავრობას საჩქაროდ აღდგენილ იქნას წვრილი კრედიტის ინსპექტორთა საქმიანობა; თუ ამ მოხელეთა არსებული შტატი საკმაო არ არის, მოწვეულ იქმნან საჭირო რიცხვი თანამშრომლებისა, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ საკრედიტო დაწესებულებათა (წვრილი კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი) საქმეების ადგილობრივ გამორკვევას, თვიური ბალანსების და წლიური ანგარიშების აღდგენის ხელმძღვანელობას, ისე რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნეს ერთი შეერთებული ბალანსის შედგენა.

7. შეერთებული ბალანსები და სხვა ზოგადი საკითხის შესახებ სისტემაში მოყვანილი ცნობები უნდა იბეჭდებოდეს დროგამოშვებით რომელიმე პერიოდულ გამოცემაში ყრილობის აღმასრულებელ ორგანოს შეხედულებით და მის მიერ წინასწარ გათვალისწინებულ პირობებით (§ 6).

8. ეთხოვოს მთავრობას, რომ ის თანხები, რომლებიც ინახება სახემწიფო ბანკში და ხაზინებში და საკრედიტო დაწესებულებათა საკუთრებას შეადგენენ, საჭირო შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეთ ამ უკანასკნელთ (§ 11).

9. ეთხოვოს მთავრობას მიღებულ იქმნას ენერგიული ზომები, რათა ქართული სახელმწიფო ბანკი რაც შეიძლება დაჩქარებით დაარსდეს.

10. ფოსტა და ხაზინები გადაგზავნილ თანხებს დაუბრკოლებრივ და თავის დროზე უნდა იძლეოდეს (§ 11).

**განხილული საკითხი**

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის დებულება. (გოთუამ ყრილობას მოახსენა ბიუროს მიერ შემუშავებული

**ყრილობის დადგენილება.**

ყრილობა რამდენიმე ცვლილების შეტანის შემდეგ მოხერხებულ დებულებას იწონებს და ავალებს აღმასრულებელ ორგანოს დებულება დაჩქარებით წარადგინოს სათანადო სამინისტროში დასამტკიცებლად.

**განხილული საკითხი.**

ბიუროს მიერ 1918 წელში გაწეული ხარჯის დაფარვა და 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

**ყრილობის დადგენილება.**

1. ნება ეძლევა ყრილობის საბჭოს მიმდინარე ხარჯების დასაფარავად გაიხმაროს 20.000 მანეთამდე.

2. არტელის წინასწარი ორგანიზაციისათვის ყრილობის საბჭოს ნება ეძლევა გასწიოს საჭირო ხარჯი თვისი შეხედულებით ისე, რომ შემდეგში გაწეული ხარჯი ყრილობის საბჭოს სალაროს დაუბრუნდეს.

3. ყრილობის საბჭოს ნება ეძლევა წევრთა შორის ხარჯების საერთო ჯამი (ბალანსების მიხედვით) გაანაწილოს; სანამ საბჭო გაწერილ ფულს არ მიიღებს, უფლება ეძლევა თვისი შეხედულებით რომელიმე საკრედიტო დაწესებულებაში სესხი აიღოს.

**განხილული საკითხი.**

ყრილობის საბჭოს არჩევა.

**ყრილობის დადგენილება.**

ერთხმად აირჩიეს: ყრილობის საბჭოს თავმჯდომარედ, პ. გოთუა. წევრებად; 1. ი. მ. ლორთქიფანიძე, 2. დ. ვ. ქუთათელაძე, 3. მ. სულუხია, 4. დ. ჩხეიძე, 5. კ. გიგინეიშვილი, 6. ალ. გრიგოლია, 7. კ. ტყავაძე, 8. დ. ქადაგიძე, 9. ტ. სიხარულიძე, 10. დ. ლუკაშვილი, 11. ქ. კაკაბაძე, 12. ალ. პ. გრიგოლაშვილი, 13. ს. მაჭავარიანი, და 14. ალ. ალ. ქარუმიძე. საბჭოს სხდომები კანონიერად ჩაითვალოს თუ წევრების 1-თი 3-დი დაესწრო;

**მთავრობისადმი მილოცვა.**

პართენ გოთუას წინადადების თანახმად ყრილობამ ერთხმად დაადგინა:

ყრილობა აღფრთოვანებით უძღვნის სალამს დამფუძნებელ კრებას და საქართველოს მთავრობას და ამასთანავე მათ წინაშე მტკიცე აღთქმას სდებს, რომ საქართველოს საკრედიტო დაწესებულებანი მთავრობის ფინანსიურ ზომათა განხორციელებისათვის თავის ძალას არ დაიზოგავენ და თავის მხრივ ეცდებიან მხურვალე და ენერგიულ მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოლონიერებისა და საღ ფინანსიურ პოლიტიკის განმტკიცებისათვის.

ყრილობა ავალებს საბჭოს პრეზიდიუმს პირადათ გადასცეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს და მთავრობის თავმჯდომარეს ყრილობის აღფრთოვანებული გრძნობები და შეატყობინოს ყრილობის აზრი საფინანსო და ეკონომიური საკითხების შესახებ.

## კორესპონდენცია

### წერილი კავკავიდან

ბოლშევიკების დამარცხების შემდეგ კავკავში და თერგის ოლქში დენიკინის ლაშქარმა ძველი უფლებები აღადგინეს, დაიპყრეს კავკავი, დასვეს გარნიზონნაჩალნიკად ყაზახთაგანი ვინმე ღენ. ბაზკინი, მოიწვიეს ძველი პოლიციის მოხელეები, პრისტავები, გოროდოვები, და მთელი პოლიცია. დამართეს სახრჩობელები და ახრჩობდენ ბოლშევიკებს. ამ საშუალებით დიდი სიწყნარე ჩამოვარდა. ვაჭრობა, აღებმიცემობა, სახელოსნოების გახსნა და მოძრაობა ახლად იწყობა კავკავში. ბაზარზე შეეტყო სოფლის ნაწარმოების შემოტანა და თავისუფლად ყიდვა-ვაჭრობა. სამაგიეროდ ქალაქი მთლად მიმკვდარებულია, დამარცხებულს ბოლშევიკებს ადამიანი ფერი აღარ აქვთ, ჩაყვითლებული, ჩახარშული, ქუჩა ქუჩა დაეხეტებიან და მოწყალებას თხოულობენ. დენიკინის, ლიახოვის და ბაზკინის მრისხანებას ზედ დაერთო სახადი. ყოველ დღე ათასობით იღუპებიან. მათთვის გაჭრილია კადეტის კორპუსთან დიდი თხრილები, ყოველს საღამოს რამოდენიმე ათეული ფურგუნი მიაქვთ მკვდრებით დატვირთული, ფურგუნებს შეიარაღებული ყაზახები მიაცილებენ. კუბოებიდან მკვდრებს თხრილებში გადმოახვევენ და კუბოებს კი უკან აბრუნებენ მეორე საღამოსთვის ახალი მკვდრების გასატანად. გაძარცული მკვდრების ტანისამოსი იყიდება მეძველმანებზე. მეძველმანები მოგებით ჰყიდიან ხალხზე და მით შავ სახადის გავრცელებას ხელს უწყობენ.

კავკავი შემზარავ სურათს ლა წარმოადგენს. დანგრეული შენობები, მილეწილი ბაღჩები, აოხრებული აფშერონის ყაზარმები, სამკურნალო სახლები, გადამწვარია ქალაქის თვალი 5 მილიონად ღირებული შენობა სადაც მოთავსებული იყო ქალაქის თვითმართველობა, საპოლიციო სამმართველო ლომბარდი და 16 დაწესებულება. ამ შენობაში ინახებოდა რამოდენიმე რაც ბოლშევიკებმა ვისმეს წაართვეს ფარჩეულობა, რამოდენიმე ასი ათასი თოფი, ფეხსაცმელი, კალოშები რამოდენიმე ასი ათასი წყვილი, უთვალავი ჩაი შაქარი და სანოვაგე. ბოლშევიკებმა გამოტანა ვერ მოასწრეს და ცეცხლს მისცეს სახლი ქონებითურთ.

ყაზახების შემოსვლის უმალ ხევმთიულებმა გზა გაიკვალეს კავკავისკენ და სანოვაგის შემოტანა დაიწყეს, ყაზახებმაც სამაგიეროდ ყაზბეგში დაიწყეს სიარული და თავისუფლად გაჰქონდათ საჭირო საგნები. რადგანაც ამაზე ღენ. ბაზკინი გასწყრა და ნება აღარ მისცა ქართველებს პური გამოეტანათ თერგის ოლქიდან. ათ მარტს ბაზკინმა დაატუსაღა 400 ქართველი მეურმე და სანოვაგეც მთლად წაართვა. თხოვნით არა გავიდა რა. სულ წაგვართვეს რაც რამ გვებადა. ასეთ ყაჩაღობაში თავი ისახელა ჩვენმა მოძმე თელაველ სომეხმა ატამონოვმა.

გზაში ლარსის ყაზახებმა წაგვართვეს ვისაც კავკავიდან რამ წვრილმანი გამოჰყვა. არ დაინდვეს ის ლტოლვილი ქართველებიც, რომელნიც შიშველტიტველნი მოეშურებოდნენ სამშობლოსკენ ოსებისგან დარბეულ ალაგებიდან.

კალმისწვერა

## ბიბლიოგრაფია

**ფრანგული ენის სახელმძღვანელო, შედგენილი ჯ. ჯორჯიკია და ალ. თორაძის მიერ, გამოც. „განათლების“ ამხანაგობისა, ქუთაისი 1918 წ.**

წიგნაკი სავსეა ყოველგვარ შეცდომებით: მაგ., მე-13 გვერდზე 12 სტრიქონში 17 შეცდომა დავთვალე, მე-20 გვერდზე 12-ვე სტრიქონში 15 შეცდომა, მე 26 გვ 14 სტრიქონში—12 შეცდომაა. უთვალავ კორექტურულ შეცდომებს გარდა, სხვა შეცდომებიც მრავალია სიტყვების ახსნაში, გრამატიკულ ცნობებში და „სავარჯიშოების“ კითხვებში — რომელნიც მოწმობენ, რომ ავტორებმა არ იციან საკმარისად ფრანგული ენა მაგ.: un'eta ნიშნავს მთავრობას, est couche წევრს „eu“ იკითხება „იო“, ანბანი „g“ როდესაც მის შემდეგ დგას „a“ იკითხება როგორც ქართული „ჟ“ (გვ. 29) მაშასადამე, სიტყვა „garçon“ იკითხება „ჟარსონ“? „თანხმოვანი ასოები“ ავტორების თქმით, „სიტყვის ბოლო არ იკითხებიან“.

მაშ არც l, b, c, m, g, r, „იკითხებიან“? მაგ., „animal“ „ანიმა“-ი იკითხება?—ავიღოთ ფრანგულ ასოების გამოთქმისა და ღირებულების ახსნა.

ნუ თუ ფრანგული „f“ გამოითქმება, როგორც ქართული „ფ“, ან „e“ როგორც „ე“, ან „u“ როგორც „უ“ „x“ გამოითქმება თურმე როგორც „ქსა“; „h“-ის შესახებ კი სწერია: „ას იკითხება“. ვერ გავიგეთ, რას ნიშნავს ეს. ყველამ იცის, რომ „h“ არასოდეს არ იკითხება—წიგნის ბოლოს ორ გვერდზე ზოგიერთი ზმნების პარადიგმებია მოთავსებული. ამ ორ გვერდზე 14 შეცდომა დავთვალე: მაგ., „avoir“ ის imparfait იქნება თურმე—„nou a vons, vous avez, ils vant“ გარდა ამისა, passé defini და არც passé indéfini არ არსებობს ახლანდელ ფრანგულ გრამმატიკაში. კარგა ხანია (1910 წლიდან) ნომენკლატურა შეცვლილია ფრანგულ გრამმატიკაში და როდესაც ახალი წიგნი იბეჭდება, საჭიროა სათანადო ცვლილებების შეტანა.

დიდი პედაგოგიური შეცდომაა სწორედ ასეთი წიგნების ბაზარზე გამოშვება და მით უმეტეს მოსწავლეთ ხელში ჩაგდება.

დ.

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლი დან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 **სასწრაფო** საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან — ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 **საფოსტო** დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან — საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან — საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან — საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 **სასწრაფო** საღ. — 9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ. 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 **საფოსტო** — დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 **სასწრაფო** — დილ. 9 ს. 41 წ. ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 **საფოსტო** საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დალის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან**

მ. № 3 **საფოსტო** დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 **სასწრაფო** დილის 7 ს.
მ. № 7 **სამგ.** განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 **საფოსტო** — დილ. 11 ს. 30
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლ

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.


მედიცინის დოქტორი ბერლინის უნი-
ვერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტ კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9— საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24-

7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

[illegible] დავითის ძე

**[illegible]**

[illegible]ებს კანისა, ვენერიულის და სიფ ლისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დი ლის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექ № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპ ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მონსე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნე ლებანი. მკურნალობა ელექტრონ სიმსუქნის მკურნალობა ბერგონ აპარატით, სალსრების მკურნალ ლინდემანის აპარატით; ფსიხოტე პია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. ( საღამოს 6 7 ს. ყოველდღე, კვი და ხუთშაბათის საღამოს გარდა. ხეილის პროსპ. № 111. ტელეფ

13—42.

50—2119—2